# საერთო გაზეთი

№8 (558) • 11 მარტი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




რამაზ საყვარელიძე

## ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს,

რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები კორონავირუსზე უფრო საშიშია და მისი ფართოდ გავრცელება ქვეყანაში ისეთივე საბედისწეროდ სახიფათოა, როგორც კორონა-ვირუსის ეპიდემია








## IPSO გამოკვლევებულთა კვლევები

თორნიკე ჩივაძე:

## რატომ იზრდება საქართველოში უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის



საქართველოს ეკონომიკური წარუმატებლობის მიზეზი ნეოლიბ-ერალური ეკონომიკური პოლიტიკაა




ბესო მიქავა:

## ბერი პაისის წინასწარმეტ-ყველების მიხედვით, თურქეთი ოთხ ნაწილად უნდა დაიშალოს...

## კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი

## დედამიწას უჩინარი დამპყრობელი შემოესია






შალოს აქვს გონივრული ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი კორეელ კიმ ჩენ ინთანაა შეკრული და საქართველოში კორონა სწორედ მისი დახმარებით შემოიტანა.

— ახალი ამბავი გაიგე, კაცო?
— რა ამბავი, დედაკაცო?
— შალო გაგიჟებულა.
— აბა შალო?
— აგე, ბაზალეთში რო აქ კაი სახლი.
— ერთი მაგისიც!

## ცეტი შალო

# რედაქტორის სვეტი



საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული ხუთთვიანი დებატები, როგორც იქნა, კონსენსუსით დამთავრდა, რასაც დიდი ზარ-ზეიმი და ჟივილ-ხივილი მოჰყვა.

ეს საქართველოს გამარჯვებაო, ეს დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯიაო, ეს ამბავი კიდევ უფრო გვაახლოვებს ნატოსთანო, ამ შეთანხმებით ყველა გამარჯვებულიაო, მადლობა დიპლომატიურ კორპუსს, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ამ დიდებული შედეგის მისაღწევადო, — ასეთი აღფრთოვანებული შეფასებები ისმის ყოველი მხრიდან.

მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი პოლიტიკური სპექტრი, თავის ოპოზიციან-პოზიციიანად, ძალიან გახარებულია.

ერთადერთი, ვისაც დიდ სიხარულს ვერ ვამჩნევ, ქართველი ხალხის ის ნაწილია, რომელიც ვერასოდეს ვერ შეეგუება ფაშისტურ-კრიმინალური წარმოშობის „ნაცმოძრაობის“ და მისი განშტოებების ბოგინს ქართულ პოლიტიკაში.

არადა, ამ შეთანხმებით, „ნაცმოძრაობას“, მის განაყოფებს და მის პოლიტიკურ მონებს რაღაც შანსი გაუჩნდათ: კვლავ მოხვდნენ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში და კიდევ ოთხი წელი გაგრძელდეს ის მარაზმი, რასაც რვა წელია ვუყურებთ.

ეს არის გამარჯვება? ეს არის ის ამბავი, რომელიც ყველას უნდა გვიხაროდეს?

თუ ეს გამარჯვებაა, ეს არის გამარჯვება, იმ მოძალადეებისა, რომლებიც 20 ივნისიდან მოყოლებული ხუთი თვის განმავლობაში ძალადობდნენ საქართველოზე და ბოლოს და ბოლოს თავისას მიაღწიეს.

თუმცა რატომ მხოლოდ ხუთი თვე? ისინი 2003 წლიდან დღემდე, მთელი 17 წელი, უწყვეტ რეჟიმში ძალადობენ ქართველ ხალხზე და დღესაც იგივე მეთოდებით ახერხებენ შეინარჩუნონ პოზიციები და კვლავ ზედაპირზე იტივტივონ.

გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ამ მოძალადეებს, ამ წმინდა წყლის კრიმინალებს საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობაშიც გამოუჩნდნენ მფარველები, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს: თუ ამათ ხელს შეუშლით და დაბლოკავთ, მაშინ საქართველოც დაიბლოკებაო.

აშშ-ს კონგრესმენთა ნაწილმა, ევროპარლამენტის წევრებმა, საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა იმის ნაცვლად, რომ მოძალადეების მიერ შეურაცხყოფილ და გაუპატიურებულ ქართველ ხალხს გამოსარჩლებოდნენ, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მოძალადეებისთვის პოლიტიკური სიცოცხლე შეენარჩუნებინათ და კვლავ მიეცათ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი.

რა ჰქვია ამას? რით აიხსნება და როგორ იშიფრება ეს ყველაფერი?

რას გვაწვალებთ და რას გვაჯახირებთ ამდენს? ან სიტყვა „დემოკრატიას“ რას ატრიალებთ წაღმა-უკუღმა — ბარემ სამუდამოდ დაგვინიშნეთ ეს ნაძირლები „უფროსებად“.

— დაიდო პირობა, რომ პოლიტპატიმრებიც გათავისუფლდებიან და არც სხვა პოლიტიკური ლიდერების მიმართ გაგრძელდება სამართლებრივი დევნაო — გახარებულები არიან „ნაცები“.

ვინ არიან ეს პოლიტპატიმრები? უგულავაააა პოლიტპატიმარი, რურუაა პოლიტპატიმარი თუ ოქრუაშვილია პოლიტპატიმარი?

რატომ ვაფურთხებთ სულში და რატომ ვაყრით თვალში ნაცარს ქართველ ხალხს, რომელმაც ზედმიწევით კარგად იცის, ვინ არიან, სინამდვილეში, ეს ვაჟბატონები და კიდევ სხვა ვაჟბატონები „ნაცმოძრაობის“ ბანდიდან.

...ამ რეპლიკას რომ ვწერდი, ენის წვერზე მიტრიალებდა საყვედურის სიტყვები „ქართული ოცნების“ მისამართით, მაგრამ იმ წარმოუდგენელი ზეწოლის, შანტაჟის, მუქარის, წნეხის შემდეგ, რომელიც ამ ხუთი თვის განმავლობაში „ქართულ ოცნებაზე“ განხორციელდა, რა სინდისით და რა ნამუსით ვუთხრა „ქართულ ოცნებას“, რატომ წახვედით დათმობაზეო?

ბოლო სიტყვა ქართველ ხალხზეა. მან შეუძლებელი უნდა შეძლოს და არჩევნებზე წერტილი უნდა დაუსვას მოძალადე ავაზაკების პარპაშს ამ ქვეყანაზე.

სხვა გამოსავალი, სხვა ხსნა, სხვა საშველი, არ არის!

„ომი“ დამთავრდა, მშვიდობის (ანუ არჩევნების) გეშინოდეთ, ხალხო!

**ვახტანგ ხარჩილავა**

# გმირები











ისინი გმირები არიან, რომლებმაც კრიზისულ სიტუაციაში საოცარი მობილიზებულობა და თავდადება გამოიჩინეს და თავის თავზე აიღეს ერის დაცვის და გადარჩენის ურთულესი მისია.

მადლობა მათ, XXI საუკუნის 20-იანი წლების გმირებს, ჩვენს ძვირფას ექიმებს, მთელ მედპერსონალს, მადლობა ყველას, ვინც ასეთი თავგანწირვით იბრძვის თითოეული სიცოცხლის გადასარჩენად.

**საერთო გაზეთი**










„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები კორონავირუსზე უფრო საშიშია და მისი ფართოდ გავრცელება ქვეყანაში ისეთივე საბედისწეროდ სახიფათოა, როგორც კორონა-ვირუსის ეპიდემია

*გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, სახელისუფლებო გუნდი და ოპოზიცია შეთანხმდა. კალაძემ განაცხადა: ჩვენ, არც პროპორციული წესით არჩევნების ჩატარებაზე გვქონდა პრობლემაო. მაშინ, რას ემსახურებოდა ეს ყოველივე?**

— კითხვები, ბუნებრივად, ჩნდება. დიახ, სახელისუფლო გუნდმა რიტორიკა შეცვალა. ჩემი აზრით, ცვლილებების გასაღები შემდეგშია: რეალურად, მოლაპარაკების მაგიდა სამი მხარის მიერ არის შექმნილი, ძირითადად კი, მესამე მხარის — უცხოელი პარტნიორების ინიციატივით. დასავლეთს მიაჩნია, რომ ხელისუფლება კომპრომისებზე, მოლაპარაკებებზე უნდა წავიდეს. „ქართული ოცნება“, თავდაპირველად, დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ხელისუფლებამ დათმო, მაგრამ არა ოპოზიციის ხათრით. მოგეხსენებათ, ოპოზიცია ვერც მობილიზაციის უნარით, ვერც მიტინგებზე ხალხის შეკრების რაოდენობით, ხელისუფლებაზე გავლენას ვერ ახდენს. მიტინგებზე ხალხს ვერ აგროვებენ. არადა, სწორედ მიტინგებია-ხოლმე, ამ დროს, ხელისუფლებაზე ზეწოლის ინსტრუმენტი. როგორც ჩანს, ამიტომაც ოპოზიციამ ზეწოლის ინსტრუმენტად უცხოელი პარტნიორები აირჩია. ფაქტია, რომ მეგობარი ქვეყნები მხარს უჭერენ აუცილებლობას — კომპრომისი შედგეს. ხელისუფლებაც ამ მოთხოვნის ნებას დაჰყვა და კიდეც გადადგა ეს ნაბიჯი — წავიდა კომპრომისზე. ეს, ნაწილობრივ, იმისთვისაც გაკეთდა, რომ მერე ითქვას: ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთაო. მესამე პირის გარეშე, ხელისუფლების მოქმედებაში, ლოგიკას ვერ ვხედავ. ხელისუფლებამ, შემხვედრი ნაბიჯების სახით, ხელი გაუწოდა პარტნიორებს და დათმობაზე წავიდა.

**— დასავლელი პარტნიორები, ძირითადად ისეთი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ, რომელიც ოპოზიციას დააკმაყოფილებს. სამართლიან არჩევნებზე საუბარიც არ არის. ეს რას ნიშნავს?**

— ამ ეტაპზე ასე საუბრობენ. როცა არჩევნების დრო მოახლოვდება მერე, სამართლიან არჩევნებსაც მოითხოვენ. ეს ნიშნავს, რომ მათ სურთ თავიანთთვის უფრო ნაცნობი რეალობა შექმნან — რადგან არსებობს ორი მხარე, მათ, უნდა მოილაპარაკონ. ვინ არის მხარეებს შორის მართალი და მტყუანი, ეს არ აინტერესებთ. შეგახსენებთ, მათ ძალიან ხშირად ანალოგიური პოზიცია უჭირავთ კონფლიქტებთან მიმართებაში. კონფლიქტების, დაპირისპირებების დროს, ყოველთვის, იყო რეკომენდაცია: დაჯექით, დაილაპარაკეთ. ვთქვათ, ქართულ და აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში, ისინი, ყოველთვის, მოლაპარაკებებს გვირჩევენ. ასევე, გვეუბნებიან რუსეთსა და საქართველოს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შემთხვევაშიც: დაჯექით, მოილაპარაკეთო. ეს ბუნებრივი, ლოგიკური რეკომენდაციაა. მან რომ დაიჭიროს რომელიმე მხარის სასარგებლო პოზიცია, უკვე, მოსამართლის პოზიციაში გამოვა. მოსამართლის პოზიცია, ეს, უკვე, შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავს. მოილაპარაკეო კი კეთილი სურვილის გარდა, სხვას არაფერს ნიშნავს. ის, რომ სამართალი დაადგინონ, ეს ბევრად რთულია. მშვიდობის მიღწევა მოლაპარაკებების მოწოდებით, რა თქმა უნდა, მესამე მხარისთვის, უფრო მარტივია.

**— ჩვენი ქვეყნის ბედი ხან სად წყდებოდა და ხან სად. ამ წრიდან რატომ ვერ გამოვედით?**

— რა ლოგიკით გამოვიდეთ ამ წრიდან? რამ უნდა გამოგვიყვანოს, მხოლოდ კალენდარმა?! თქვენ, ფაქტობრივად, ახლა თქვით, რომ ვერ გვეღირსა დამოუკიდებლობა, ხომ. მეფეს ხან აღმოსავლეთიდან გვინიშნავდნენ, ხან ჩრდილოეთიდან და უამრავ სხვა დეტალსაც განსაზღვრავდნენ. პატარა ქვეყანა ვიყავით და ძალა არ გვქონდა. ამით იყო ყოველივე განპირობებული. ქვეყნის ძალა, უკვე, იზომება არა ფიზიკურად, ჯარით, არამედ ეკონომიკით, დიპლომატიით და იმ ფუნქციებით, რითაც ამათუ იმ ქვეყანას შეუძლია მსოფლიოს ცხოვრება შეცვალოს. ასეთი ფუნქციები საკმაოდ ბევრი აქვს, მაგალითად, ისრაელს. ამიტომ, იგი უფრო ხშირად დგამს დამოუკიდებელ ნაბიჯებს, ვიდრე მის მასშტაბს შეეფერება. თუმცა, ტექნიკური ძალაც არ აკლია. შევხედოთ, ნებისმიერ ქვეყანას, სად გვაქვს ასეთი დამოუკიდებლობის პარადი? — ძალიან ცოტა შემთხვევაში, ხომ. საქართველოს ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის. ის, რომ დღეს, ევროპელები, საერთოდ, გველაპარაკებიან და თუნდაც, იმას გვეუბნებიან: მოილაპარაკეთ, მშვიდობიანი იყავით, თქვენთვის ნატოს კარი ღიააო, ასეთი საუბარი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის შემდეგ დაიწყო. იქამდე, სოხუმი ისე დაგვამხეს თავზე, უცხოეთს რეაქცია არ ჰქონია. მით უმეტეს, რომ დასავლეთმა მშვენივრად იცოდა ამ ომებში ვინ მონაწილეობდა, მათ შორის, რუსეთის მონაწილეობის შესახებაც. დიახ, საქართველომ, მათთვის, მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა — აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის და გაჩნდა ინტერესი და ა.შ. რაღაცით საინტერესო უნდა იყო. მარტო იმიტომ, რომ არსებობ, ეს დამოუკიდებლობისთვის საკმარისი არ არის. რეალური დამოუკიდებლობისთვის ძალაც უნდა გქონდეს.



**— მოდით, საარჩევნო სისტემას დავუბრუნდეთ. გადაწყდა, რომ არჩევნები 120/30-ზე თანაფარდობითდა 1%-იანი ბარიერით ჩატარდება. ეს ახალ რეალობას ქმნის. ასე, უცებ, ახალი საარჩევნო ოლქების შეკოწიწება რამდენად მისაღები იქნება თუნდაც მოსახლეობისთვის და ყოველივე რა საფრთხეების შემცველია?**









— საფრთხეების შემცველი არის ის, რაც თქვენს კითხვაში იგულისხმება — ნაუცბათევმა სტრუქტურამ, შეიძლება, შედეგიანად არ იმუშავოს. მერე ვილაპარაკოთ იმაზე, შეცდომები გამიზნული იქნება თუ შემთხვევითი. რაც შეეხება 120/30-ზე თანაფარდობას, მე, თავის დროზე, ისიც მიკვირდა: რაში დასჭირდა „ქართულ ოცნებას“ წმინდა პროპორციული არჩევნების იდეა უკან წაეღო, რასაც მერე მოჰყვა საუბრები, რომ მოგვატყუეს, გადაგვაგდეს და უამრავი სხვა უარყოფითი ეპითეტი. ჩემი გაკვირვების საფუძველი რეიტინგები იყო. პროპორციულ სისტემაში ვის მიმართაც ადამიანმა დამოკიდებულება უნდა გამოხატოს, ეს პარტია გახლავთ. პარტიულ რეიტინგებში სულ უფრო ხშირია პასუხი — არცერთ პარტიას არ ვუჭერ მხარს. ასეთი ნიჰილიზმის ფონზე, „ქართულ ოცნებას“ სხვა პარტიებზე მეტი შანსები აქვს. ასე, რომ იგი პროპორციულ არჩევნებში ისედაც გაიმარჯვებდა. ასევე, ყველა იმ არჩევნებში გაიმარჯვებს, რომელიც პროპორციულ არჩევნებს მიუახლოვდება. მაჟორიტარულ სისტემაში კიდევ არის იმის შანსი, რომ ოპოზიციამ რეგიონში უფრო ძლიერი კანდიდატურა იპოვოს, მის გაყვანაზე მობილიზაცია მოახდინოს და მანდატი აიღოს. პროპორციული სისტემით, ასეთი შანსი არ აქვს. ასე, რომ პროპორციულ სისტემაში, პარტიების მიმართ იმ დამოკიდებულების ფონზე რაც დღესაა, „ქართული ოცნება“ იმარჯვებს და ასევე, 120/30-ზე ანუ, პროპორციულთან მიახლოებულში, აქაც, იმარჯვებს. ოპოზიცია ამბობს: კი, „ქართული ოცნება“ იმარჯვებს, მაგრამ ჩვენ თუ ჯამში ადგილების მეტ რაოდენობას

5 გვ. →

# გამოკვლევებულთა კვლევები

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო... გამოკვლევებულ ნიკოლოზ გვარამიას თავისი საკანალიზაციო არხის („მთავარი არხი“) საშუალებით კომპანია **IPSOS**-თან ხელშეკრულება გაუფორმებია, რომელსაც 1500 ადამიანი გამოუკითხავს და კვლევის შედეგებიც დაუდვია!

არ დაგავიწყდეთ, ეს კომპანია კი არის საფრანგეთში დარეგისტრირებული, მაგრამ მას ფილიალები აქვს მსოფლიოს 88 ქვეყანაში, მათ შორის უკრაინასა და რუსეთშიც. ჰოდა, ნიკოლოზმა ამჯერად რუსული ფილიალი არჩია. აქ დაახლოებით ის მომენტია, საპრეზიდენტო არჩევნებში გრიგოლ ვაშაძეს რუსი „პიარშიკები“ რომ დაუქირავეს და სალომე ზურაბიშვილს ვლადიმერ პუტინის მონას ეძახდნენ.

სანამ ნიკოსეული გამოკითხვის შედეგებს „წვრილად“ გაგაცნობდეთ და ჩემეულ ანალიზს შემოგთავაზებდეთ, მანამდე ერთი „გასაოცარი“ ამბავი უნდა მოგიყვეთ.



●

არ ვიცი, ბედია, უბრალო დამთხვევა თუ სასწაული, ამ გამოკითხვაში მონაწილეობა მეც მივიღე. ერთი დღეა (25 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით), კარზე ვიღაცა აკაკუნებს. ვაღებ, სიმპატიური გოგოა. უკაცრავადო, მეო, გამოკითხვაზე ვარო, თუ შეიძლებაო, შეკითხვებს დაგისვამთო. თუ „ნაცმოძრაობიდან“ ხარ, არ გამოვა მაი ამბავი-მეთქი. არაო, დედას გეფიცები, „ნაცმოძრაობიდან“ არ ვარო. აბა, საიდან ხარ-მეთქი? აქედან და აქედანო. ხეირიანად ვერც დავიმახსოვრე. კაი, შემოდი და დამისვი შეკითხვები-მეთქი. შემოვიდა, დაჯდა, გაშალა დავთრები. ახლა რომ ვუყურებ გამოკვლევებულ ნიკოს მიერ გამომზეურებულ შეკითხვებს, ვხვდები, ზუსტად ის იყო, ზუსტად მაგ შეკითხვებზე ვუპასუხე. როგორც შემეძლო, ვთხარე და დედა ვუტირე „ნაციონალებს“, შეიძლება კარგიც კი იყო, რომ „ვიმონაწილევე“. სხვათა შორისო, მითხრა გამომკითხველმა გოგომ, თქვენი ერთ-ერთი მეზობელი გავარვარებული „ნაციონალიაო“. რათა-მეთქი? რავი, ჯერ ივანიშვილი ლანძღა, მერე კი „ნაცებიო“. ეეეჰ, არ ინერვიულო, მაგ ქალს კაი ხანია კლიმაქსი აქვს-მეთქი. დამშვიდდა.

●

მოკლედ, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ხმას ვის მისცემდითო? – გვეკითხებიან „ჩერეზ“ რუსეთი საქართველოს 1500 მოქალაქეს. პასუხი:

| | |
|---|---|
| **ოპოზიცია** | **– 55%,** |
| **„ქართული ოცნება“** | **– 39%.** |

მართალია, ნიკო გვარამია იძახის, ეს სუპერ-კვლევააო, მაგრამ მას, როგორც ყოველთვის, არ დაეჯერება. ასეც რომ იყოს, ნიკო რომ არც ტყუოდეს, თუ ე.წ. ოპოზიციას, ანუ ერთად აღებულ ყველა პარტიას 55% აქვს და „ქართულ ოცნებას“ 39%, მაშინ იგივე „ქართული ოცნება“ არჩევნების პერიოდში რომ „მოიხოდება“, გაცილებით მეტს მიიღებს და არჩევნებსაც პირწმინდად მოიგებს. მოდით, კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ: თუ „გამწარებული“ „ნაცები“ დღესვე აღიარებენ, რომ „ოცნებას“ 39% აქვს, გამოდის, საქმე კარგადაა, მმართველი პარტია შემოდგომაზე 60%-ზე მეტს აიღებს. ასე რომ, ნიკოს არ უნდა უხაროდეს.

ახლა კი მთავარი სიურპრიზი: გიორგი (ჯულიეტოვიჩის) გადაცემა ნიკო გვარამიას საკანალიზაციო სისტემიდან. სანამ ეს ჩოილარი კორონაზე წაგვიმღერებდა და თავის ავადმყოფობას კიდევ ერთხელ გამოავლენდა, დიდი ამბით გაგვაცნო **IPSOS**-ის რუსული კვლევის შედეგები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერს მოსახლეობის არა 39, არამედ 34%. ესე იგი, მიხვდა რა, გამოკვლევებული ნიკო, რომ 39% ნამეტანი გამოუვიდა და ეგრევე შეამცირა. სამაგიეროდ გაზარდა ე.წ. ოპოზიციური ე.წ. პარტიების რეიტინგი:

| | |
|---|---|
| **„ნაცმოძრაობა“ და გაერთიანებული ოპოზიცია** | **– 29%** |
| **„ევროპული საქართველო“** | **– 10%** |
| **„ლეიბორისტული პარტია“** | **– 6%** |
| **„პატრიოტთა ალიანსი“** | **– 5%** |
| **„გირჩი“** | **– 3%** |
| **ალ. ელისაშვილის „სამოქალაქო მოძრაობა“** | **– 3%** |
| **„ლელო“** | **– 3%** |
| **„დემოკრატიული მოძრაობა“ (ბურჯანაძე)** | **– 2%** |
| **„თავისუფალი საქართველო“** | **– 1%** |
| **„რესპუბლიკელები“** | **– 1%** |
| **„კონსერვატიული პარტია“** | **– 1%** |

მოდით, გავშიფროთ ამათი ვირეშმაკობა. ამოცანა გვეკითხება: თუკი „ნაცმოძრაობას“ და გაერთიანებულ ოპოზიციას (ერთად აღებულს) აქვს 29%, მაშინ რანაირადღა გამოსდით ცალ-ცალკე 64 პროცენტი?!

ამოცანა ისევ გვეკითხება: თუკი 34%-იანმა პარტიამ არ უნდა მართოს ქვეყანა, მაშინ რატომ უნდა მართონ 1–2–3%-იანმა პარტიებმა, თუნდაც ერთად აღებულებმა? ააა... კოალიცია მოუნდათ თახსირებს? მერე და... ვისთან კოალიცია, მაჭუტაძეებთან და ჭუტალა ბოკერიებთან? არ გამოვა მაი ამბავი. ახლა ხვდებით, რაში სჭირდებათ ნულოვანი ბარიერი და მთლიანად პროპორციული სისტემა?

ჩემი აზრით, პარტია თუ პიროვნება, რომელიც ვერ ლახავს საარჩევნო ბარიერს, მას სახელმწიფო სადავეებთან არაფერი ესაქმება. ამ შემთხვევაში სანიმუშოდ „რესპუბლიკელების“ მოღვაწეობაც გამოდგება – მუდმივად 1%-იანი ტიპები ისეთ დროს ეტმასნებიან ოპოზიციას, ხშირად ხვდებიან პარლამენტში. წესით, ამჯერად აღარ უნდა გამოუვიდეთ, ამათი ვირეშმაკობა დასრულდა!

შემდეგი შეკითხვა: როგორია საქართველოში დემოკრატია?

| | |
|---|---|
| **ძალიან განვითარებული** | **– 17%** |
| **საშუალოდ განვითარებული** | **– 58%** |
| **განუვითარებელი** | **– 25%** |

აბა, ახლა დაძაბეთ გონება... ესე იგი, ჩვენი მოსახლეობის 75% თვლის, რომ საქართველოში დემოკრატია, ასე თუ ისე, განვითარებულია და ვფიქრობ, ეს არის კარგი მაჩვენებელი. თუკი ასეა, მაშინ როგორ ახერხებს გამოკვლევებული ნიკო, რომ ამ პროცესებში ბიძინა ივანიშვილის როლი წარმოგვიდგინოს უარყოფითად, ხოლო მიხეილ სააკაშვილის როლი – დადებითად?

მას ასე, შეკითხვა ასეთია: როგორია ბიძინა ივანიშვილის როლის აღქმა?

| | |
|---|---|
| **ძალიან პოზიტიური** | **– 12%** |
| **გარკვეულწილად პოზიტიური** | **– 31%** |
| **გარკვეულწილად ნეგატიური** | **– 19%** |
| **ძალიან ნეგატიური** | **– 32%** |

ხედავთ? ბიძინა ივანიშვილის როლს დადებითად აფასებს 43%, ხოლო უარყოფითად – 51%. ახლა ვნახოთ, როგორია მიხეილ სააკაშვილის როლის აღქმა.

| | |
|---|---|
| **ძალიან პოზიტიური** | **– 16%** |
| **გარკვეულწილად პოზიტიური** | **– 34%** |
| **გარკვეულწილად ნეგატიური** | **– 19%** |
| **ძალიან ნეგატიური** | **– 25%** |

არ გაგეცინოთ, დადებითად აფასებს 50%, ხოლო ურყოფითად – 44%.

ხალხო, ახლა ამიხსენით, თუ „ოცნება“ სჯობნის „ნაცმოძრაობას“ და ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას რეიტინგით (თუნდაც გამოკვლევებულ ნიკოს დავთრების თანახმად), რანაირად აფასებს უფრო მეტი სააკაშვილს დადებითად და ბიძინა ივანიშვილს უარყოფითად?!

იცით, სინამდვილეში რა ხდება? თუ „ხელშეკრულებადადებული“ კომპანია დადებს რეალურ სურათს, „ხელშეკრულებადამდები“ ნიკო და მიხო გაბრაზდებიან და შემდგომში აღარ დადებენ ხელშეკრულებას!

იბადება კითხვა: რაში სჭირდებათ ნიკოს და მიხოს კვლევის ყალბი შედეგები?

პასუხი: იმიტომ, რომ საზოგადოებას აჩვენონ, როგორი მაღალი რეიტინგი აქვთ. ამით გარკვეულწილად ახერხებენ საზოგადოების ბნელი ნაწილის დაბნევას. ეს იგივეა, როცა გამოდიან და აცხადებენ, ჩვენ უკვე მოვედით ხელისუფლებაში, „ოცნების“ საქმე წასულია, უბრალოდ დროის საკითხიღა დარჩაო!

დასკვნა: ნიკო გამოკვლევებულია. მიხოც გამოკვლევებულია. მათ შექმნეს ილუზია და ცხოვრობენ ამ ილუზიაში „ფანებთან“ ერთად 2012 წლის შემდეგ. ამ გამოკვლევებულებისთვის იმდენად აუტანელია ძალაუფლების გარეშე ცხოვრება, უკვე დაავადდნენ. თუმცა არც მანამდე იყვნენ საღად. თუ შემოდგომაზე ხმას არ მივცემთ (და ნამდვილად არ მივცემთ), ისინი გვემუქრებიან ძვლებში გადამტვრევით, ჩამოხრჩობით, დახვრეტით და მოკლედ, როგორც გერმანელ ფაშისტებზე გადაღებულ ფილმებშია ხოლმე. არ შეგეშინდეთ, ამათ რომ რამის ტრაკი ჰქონდეთ, აქამდე გადაგვამტვრევდნენ ძვლებში. ცხრა წლის განმავლობაში რომ გვამტვრიეს, ეგეც ჩვენი ბრალი იყო!



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს...

3 გვ.

ავიღებთ, სახელისუფლებო პარტიას დავამარცხებთო. მეეჭვება, რომ ოპოზიციას ამის პერსპექტივა ჰქონდეს თუნდაც იმ შემთხვევაში თუ ეს ხმები საკმარისი არ იქნება მთავრობის დასაკომპლექტებლად. პირველი სიტყვა „ქართულ ოცნებას" ეკუთვნის. იგი, ალბათ, იპოვის პარტნიორებს — უფრო ზომიერ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელთაც არ ექნებათ ისეთი რადიკალური პოზიცია, როგორც „ნაცმოძრაობას" ან „ევროპულ საქართველოს" და დაკლებულ ხმებს შეავსებს. ეს გადაულახავი სიძნელე არ არის

**— ანუ, თქვენ გულისხმობთ შემდეგს: ოპოზიცია ისეთი ბარიერის შემოღებას ითხოვს რომ ხელისუფლებამ დამოუკიდებლად ვერ შეძლოს მთავრობის დაკომპლექტება და საშველად ისევ „ნაცებს" უხმოს?**

— დიახ, ასეა, „ქართულმა ოცნებამ" ანუ, ერთმა პარტიამ დამოუკიდებლად მთავრობის დაკომპლექტება ვერ შეძლოს და საშველად ისევ „ნაცებს" მოუხმოს, ეს არის გათვლა. მაგრამ რამდენად ჭკვიანური გათვლაა, სხვა საკითხია. არსებობს „პატრიოტთა ალიანსი", პოლიტიკური პარტიების ისეთი ჯგუფები, რომლებიც ასე რადიკალურ პოზიციას — არ დაველაპარაკებით „ქართულ ოცნებასო", არ იკავებენ. არსებობს ახალი პარტიები, რომელთაც პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, შეიძლება, „ქართულ ოცნებასთან" მიმართებით აზრი შეიცვალონ და ა.შ. ხელისუფლების სასარგებლოდ, შეიძლება, ბევრი რამ დალაგდეს. იმ პარტიების რიცხვი კი, რომელთაც დაიგინეს, რომ „ქართულ ოცნებასთან" ალიანს არ შექმნიან, შეიძლება არ იყოს ისეთი დიდი და შთამბეჭდავი, რომ სახელისუფლებო პარტიას სერიოზული პრობლემა შეუქმნას. უკანასკნელი გამოკვლევებით „ნაცმოძრაობა" და „ევროპული საქართველო" ერთად აღებული 20%-საც ვერ აგროვებს. თან ეს ის კვლევებია, რომელიც ზოგადად, მათ წისქვილზე უფრო ასხამს-ხოლმე წყალს, ვიდრე მათ საწინააღმდეგოდ. რბილად, რომ ვთქვათ, ეს მათი მხარდამჭერი კვლევებია. აი, ამ მხარდამჭერ კვლევებშიც ოპოზიციას 20%-ზე მეტი არ უგროვდებათ. დავუშვათ, „ქართულ ოცნებასაც" 20% აქვს, დანარჩენი 60%-ის ნაწილი, შეიძლება, სახლში დარჩეს, მაგრამ ნაწილი ხომ მოვა და აეწყობა უმრავლესობა. თუ არ აეწყობა უმრავლესობა და ვერ მიიღეს ისეთი გადანაწილება, რომ მთავრობა ჩამოყალიბდეს, მაშინ, საერთოდ, ხელახალი არჩევნები დაინიშნება. ეს არის ერთ-ერთი პრობლემა. ამაზე ადრეც იყო ლაპარაკი, რომ პროპორციულ სისტემაში ეს პრობლემა ჩნდება — პარტიები კი გავლენ პარლამენტში, მაგრამ ერთმანეთთან შეთანხმება თუ ვერ მოახერხეს, მთავრობას ვერ დააკომპლექტებენ. თუკი ეს ძალიან ბაზისურად, მყარად ჩამოყალიბდა, მაშინ საქართველოს ხელახალი არჩევნების ჩატარება მოუწევს, იქ, ბარიერი დაიწევს და ა.შ.

**— არის საფრთხე იმისა, რომ მთავრობის დაკომპლექტება ვერ შეძლონ?**

— დიახ, დიახ, ეს საფრთხე არსებობს. ასე შეიძლება კრიზისში შევიდეთ. ამ შემთხვევაში, მაჟორიტარები შეიძლება აღმოჩდნენ ისეთი გუნდი, რომელიც ქვეყანას აი, ასეთი საპარლამენტო კრიზისიდან დაიცავს. მთლიანობაში, ოპოზიცია მოსახლეობაში სუსტი ავტორიტეტით სარგებლობს, ასევე, ხელისუფლებაც. ასე, რომ მეტაფორულად რომ ვთქვათ: ქვეყანა ჰგავს იმ ავტობუსს, რომლის მგზავრებმა მძღოლი უნდა აირჩიონ. ანუ, ადამიანი ვინც საჭესთან დაჯდება. ამ დროს გვყავს კანდიდატურები, რომლებიც შეიძლება საჭესთან დაჯდნენ და მთელი



ავტობუსი გადაჩეხონ ან ციხეში შეაბრიხინონ. „ნაციონალებს" ხომ ასეთი მართვა ჰქონდათ — მათთვის ქვეყნის მართვის ძირითადი საშუალება ციხე იყო. ასევე, გვყავს მძღოლი, რომელსაც ავტობუსი საკმაოდ ნელა მიჰყავს და ხშირად, მოსახლეობისთვის გაუგებარი მიმართულებითაც. ზოგჯერ განცდაა, რომ ავტობუსი საერთოდ არ მიდის. ბოლოს, გვყავს „მძღოლები", რომლებმაც მართვა საერთოდ არ იციან.

**— „მძღოლების" ერთი ნაწილი — გაერთიანებული ოპოზიცია დიდი ხანია ქართველი ხალხის სახელით გვესაუბრება. ისინი საკუთარ თავს პოლიტიკურ პარტიებს უწოდებენ და არც ფიქრობენ, რომ ლეგიტიმაცია ხალხისგან ჰქონდეთ?**

— შეიძლება მართალიც ხართ. მათ ხალხი რომ აინტერესებდეთ, შეეძლოთ, ამ რვა წლის მანძილზე ისე მოქცევა, მოსახლეობას 9 წლიანი წარსული დავიწყებოდა და მათ ნათქვამს დაჰყოლოდა. „ნაცებმა" ყველგან მხოლოდ აგრესია გამოავლინეს და მთელი ოპოზიციური მოძრაობა სააკაშვილის ფიგურის, მისი სტილისტიკის გარშემო ააგეს. გამოდის, რომ ხალხის პოზიცია, მათ, არ აინტერესებთ.

**— არჩევნები, ფაქტობრივად, ამომრჩევლის გარეშე ტარდება. მათ არავინ ეკითხება, თუნდაც, რა სისტემა სურთ?**

— ის, რომ ეს არავის უკითხავს, უკვე ამომრჩევლის პრობლემაც არის. ამომრჩეველმა ორიენტაცია უნდა აიღოს და პარტიები აიძულოს იყვნენ ისეთნი როგორიც მას სურს. კეთილი ნება არ არის პოლიტიკის ყველაზე ტიპიური თვისება. პოლიტიკის თვისებაა იძულება. ხელისუფლება მოსახლეობას აიძულებს კანონები დაიცვას, ხოლო ამ უკანასკნელმა პოლიტიკური ელიტა უნდა აიძულოს სასურველი შედეგი მიიღოს. თუ ასეთი პოლიტიკური ჯგუფი არ არსებობს, მაშინ ეს მოსახლეობამ უნდა წარმოშვას. ფაქტობრივად, ახალი პოლიტიკური ჯგუფები არ ჩნდება. „ლელო" არის ბოლო. პოლიტიკური ელიტა ასეთი დეფიციტის პირობებში რომ გახლავთ, ამიტომაც იქცევიან პოლიტიკოსები ისე, როგორც უნდათ. პოლიტიკა მონოპოლიზებულია.

**— უგულავამ და სხვა „პოლიტ.პატიმრებმა" განაცხადეს: ჩვენს გამო არ ჩაშალოთ პროპორციული არჩევნების მოლაპარაკება, ჩვენ, თავს გავწირავთ და აქ, ვიჯდებითო. სხვა საკითხია რამდენად არიან ისინი პოლიტ. პატიმრები?**

— ეგ, თავისთავად. უგულავა გვეუბნება: 50 მილიონის შეჭმა დამაბრალესო. რა ხდება, მთელ საქართველოს მეხსიერება დაგვიქვეითდა?! დავუშვათ, ხელისუფლება მათ გათავისუფლებას დათანხმდა. ეს ხომ უკვე იმის მანიშნებელი იქნება, რომ ისინი პოლიტ.პატიმრები არიან. ასე, რომ თავისთავად, ეს მოთხოვნა არასწორია, იმ მხრივ, რომ მასზე, პრინციპულად, არ შეიძლება ჭკუათმყოფელმა მხარემ — ხელისუფლებამ თანხმობა თქვას.

**— ამდენი დავი-დარაბა რისთვის, რომ „ნაციონალები" მობრუნდნენ ან თუნდაც, კვლავ მთავარი ოპოზიციური ძალა იყვნენ?**

— მეეჭვება, მათ, რეალურად, დაბრუნების პრეტენზია ჰქონდეთ. მათ ჩვენზე უკეთ იციან, რა რეიტინგის პატრონებიც არიან. ხომ ხედავთ, მიტინგებს თავს არიდებენ-ხოლმე იმიტომ, რომ იციან: ხალხი მათ დაძახილზე არ მოდის. მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსით ისინი ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდ თანხებს აიღებენ. ასე, რომ პრაქტიკულად, ბრძოლა იმ ათასებისთვის მიდის, რაც ბიუჯეტიდან უნდა მიიღონ.

**— „ნაციონალები" კვლავ პოლიტიკურ ველზე თუ დარჩნენ, რა შეიცვლება?**

— სხვა მექანიზმი გარდა იმისა, რომ მოსახლეობამ მათ ხმა არ მისცეს, არ არსებობს. „ნაცმოძრაობა", დაახლოებით, ისეთივე ტიპის მოვლენაა, როგორც კორონა ვირუსთან ქართველების დამოკიდებულება. მარტო საკუთარი თავის გამო კი არ უნდა შეწუხდე, არამედ უნდა გესმოდეს, რომ კონკრეტული გადაწყვეტილებით, შეიძლება, შენი ახლობლები დაზარალდნენ. ეს პასუხისმგებლობა საქართველოში თუ არ არის, ვერც კორონა ვირუსს გადავურჩებით და ვერც „ნაცმოძრაობას". ქართველებმა ის ვერ გავიგეთ, რომ კორონა ვირუსის უნდა გვეშინოდეს და იმას შევიგნებთ, რომ „ნაცების" უნდა გვეშინოდეს?! ამიტომაც არის, რომ ეს „ნაცები" არსებობენ და ვერც ვერაფერს ვუშვებით. კორონა და „ნაცები" ერთმანეთს გვანან. კორონაზე მთელი მსოფლიო გვაფრთხილებს საშიშიაო და ჩვენ ყურსაც არ ვიბერტყავთ. ზუსტად იგივე დამოკიდებულება გვაქვს „ნაცებთან" მიმართებაშიც — ვერ შევიგნეთ, რომ საშიშია. არჩევნებში სწორედ ეს უნდა გააცნობიეროს ამომრჩეველმა — ვისაც ხმას აძლევს, რას მოუტანს იგი ქვეყნის მომავალს. ძალიან მეეჭვება, რომ ხმის მიცემა, არჩევნების დროს, ყოველთვის ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით იყოს გამსჭვალული. ვიმეორებ, არათუ ხმის მიცემა, აგერ როგორც გამოჩნდა, ხშირად გაცნობიერებული არ არის, რომ კორონა ვირუსთან ბრძოლაც კი თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა. არ ვიცი რამდენად აქვს გაცნობიერებული ეს პასუხისმგებლობა თითოეულ ამომრჩეველს, რომელიც ძალიან ხშირად, პრაქტიკულად, ხმას აძლევს იმის მიხედვით: ვინ მოსწონს ან არ მოსწონს. ძალიან ხშირად არაპოლიტიკური ნიშნით მოწონებაც უკვე საკმარისია და ა.შ. ნუ, ეს მარტო ქართველების პრობლემა არ არის, მთელს მსოფლიოში ასეა. ხომ ხედავთ, საარჩევნო კამპანიები, ფაქტობრივად, შოუა ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც აშშ-ია.

**— „ნაცმოძრაობას" რაც უნდა ვიცით — არეულობა, ქაოსი, მაგრამ „ქართულ ოცნებას" რა უნდა, თუ იცით?**

— თვითონ თუ იციან, რა უნდათ? „ქართულ ოცნებას", ჯერჯერობით, უნდა ის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. თუმცა, როგორი ქვეყნის გაკეთება სურთ, ამ კითხვაზე, გიპასუხებენ: ევროპულისო. ეს კარგი გამოსავალი ნახეს, ფიქრის აუცილებლობა აღარ არის, პირდაპირ იტყვი: ევროპული ქვეყანა მინდაო და მორჩა. ეს ევროპული როგორი უნდა იყოს, ძალიან ხშირად ბუნდოვანია, მათ შორის, „ქართული ოცნების" ხელშიაც. ადრეც, ასე იყო. რა უნდა „ქართულ ოცნებას"? — ადვილი საპასუხო არ არის. ახალგაზრდა უმაღლესში რომ აბარებს, ძალიან ხშირად არ იცის: რა უნდა და მერე გადადის სხვა ფაკულტეტზე, მერე ისევ უკან და ასე წინ და უკან სიარულში ცდილობს გაარკვიოს რა უნდა. თუ ერთ ადამიანს უჭირს გაარკვიოს რა უნდა, მით უმეტეს, ქვეყნისთვის რთულია იმის გარკვევა რა უნდა, საით უნდა წავიდეს და ა.შ. იმიტომ, რომ არც ის არის იოლი დასადგენი კონკრეტულად რაში მდგომარეობს დემოკრატია და როგორ კეთდება. ამის გარკვევა, ხშირად, მეტ ძალისხმევას ითხოვს, ვიდრე ჩვენ ვართ შეჩვეული. როგორ შეიძლება დემოკრატია იყოს ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო მოხელე თავისთავზე იმ პასუხისმგებლობას, რომ ქვეყანა მის ხელშია, არ გრძნობს.

**— ბოლოს, ხალხს რა უნდა?**

— ხალხი არჩევნებზე უნდა წავიდეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უარესი სურათი არ მიიღოს. ჩვენ, დაგვავიწყდა, რომ შეიძლება უარესი მივიღოთ. ამაზე უარესი რა უნდა იყოს? — რა და 90-იანი წლები, როცა ქვეყანაში ქაოსი იყო. ეს არ გვახსოვს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ თუ ჭკუით არ ვიქნებით ეს დრო არ დადგება. თუკი ქაოსს მივუშვებთ — არ ავირჩევთ ხელისუფლებას, არ მოგვინდება რომ ვინმემ ქვეყანა მართოს, დადგება 90-იანი წლების რეჟიმი. არ დავუშვათ უარესი, ეს არის ამოცანა. 90-იან წლებში ეს უარესობა საკუთარ კისერზე გადავიტანეთ. გვახსოვს? — არ გვახსოვს, დაგვავიწყდა. არც ის გვახსოვს, რომ კორონა ვირუსის დროს ადამიანები უნდა გაუფრთხილდნენ თავის მომავალს, ოჯახს. ეს საფრთხე უდიდეს ქვეყნებს დაუდგა, რაც ჭკუისსასწავლებელი უნდა იყოს. დიახ, ქვეყანას უნდა მოუაროს. კორონა ვირუსმა ისეთი ქვეყნებიც დაჯაბნა, რომელთაც ორგანიზების თვალსაზრისით მაღალი კლასი აქვთ. ავიღოთ, ჩინეთი. იგი ყველაზე ორგანიზებული ქვეყანაა მსოფლიოში. თუმცა, რაღაცების მოუვლელობის გამო, ფაქტობრივად, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ანალოგიური კატასტროფები ჩვენნაირ ქვეყნებსაც შეიძლება დაემუქროს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# ბერი პაისის წინასწარმეტყველების მიხედვით, თურქეთი ოთხ ნაწილად უნდა დაიშალოს...



*გვესაუბრება*
*იბერიულ-კავკასიური*
*მოძრაობის ლიდერი*
*ბესო მიქავა*

**— ბატონო ბესო, თქვენ ჩვენთან ინტერვიუში თურქეთის დაშლა იწინასწარმეტყველეთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთ-თურქეთს შორის კონფლიქტი არ იყო დაწყებული სირიაში. დღეს რას იტყვით არსებული ვითარების შესაბამისად?**

— როგორც იცით, 5 მარტს ერდოგანი და პუტინი ერთმანეთს შეხვდნენ და უკვე ცხადი გახდა, რომ სიტუაცია სტაბილიზაციისკენ მიდის.



მოგეხსენებათ, 5 მარტი არის სტალინის გარდაცვალების დღე. შესაძლოა, ესეც სიმბოლური იყოს, რომ სწორედ ამ დღეს მოხდა მათი შეხვედრა.

სტალინს და ბერიას გეგმებში, როგორც ცნობილია, შედიოდა თურქეთის დაშლა, თუმცა ეს მაშინ ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება თავად შეხვედრას.

მე რამდენიმეჯერ ვუყურე ამ შეხვედრის სატელევიზიო სიუჟეტებს და მომეჩვენა, რომ საკმაოდ დაბნეული იყო ერდოგანი. როდესაც მიესალმნენ ერთმანეთს პუტინი და ერდოგანი, ერდოგანი დაჯდა. პუტინმა ჩამოუარა დანარჩენ წარმომადგენლებს და ხელი ჩამოართვა. ერდოგანს, ფაქტობრივად, ზურგი შეაქცია. ის თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ადგა, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებისკენ წავიდა, მერე ისევ უკან დაბრუნდა აშკარად დაბნეული ჩანდა. შემდეგ ვლადიმირ პუტინმა ერდოგანს მიუსამძიმრა თურქი ჯარისკაცების დაღუპვის გამო, მაგრამ იქვე თქვა: სირიელი ხალხი იჩაგრება და ეს გასათვალისწინებელიაო. შემდეგ დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი თურქეთის და რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერლებმა მოაწერეს და არა თვით რეჯეფ ერდოგანმა.




თურქეთის ირგვლივ რა ვითარებაა, ყველამ ვიცით. საბერძნეთთან თურქეთს ტერიტორიული პრეტენზია აქვს, სირია მტრად ჰყავს მიჩნეული, ასევე სომხებიც. ერდოგანი ანგელა მერკელთანაც არ არის ტკბილ ურთიერთობებში. მოკლედ რომ ვთქვათ, თურქეთს ევროპაში „მეგობრები“ არ ჰყავს. მეტიც, ევროპა აღარ აპირებს დათმოს „თავისი“ ტერიტორია — კონსტანტინოპოლი, ტერიტორია, საიდანაც ფაქტობრივად, თავად ევროპა, გაქრისტიანდა, რადგან კონსტანტინოპოლი თავის დროზე თურქებმა აიღეს თუ ევროპამ დათმო კიდევ საკითხავია?

ახლა მახსენდება ე.წ. მამების „ჭორაობა“ ომის დროს: ერთი ნემსის წვერზე რამდენი ანგელოზი დაეტევაო?! იმის მაგივრად, რომ ებრძოლათ ურჯულო დამპყრობლების წინააღმდეგ, ან ხალხისთვის მოეწოდებინათ ბრძოლისკენ, მაშინ, როცა კათოლიკურ სამყაროს 6000 მართლმადიდებელი ბერი. უკვე ჰყავდა ამოწყვეტილი. მათ შორის 600 ქართველი ბერი, შეგახსენებთ, კონსტანტინოპოლი არის მსოფლიო საეკლესიო კრების ადგილი და ა.შ. ასეთ რეგიონში იბრძოდა კათოლიციზმი მართლმადიდებლობის, როგორც ღრმად შერჭობილი ხიჭვის წინააღმდეგ...

თქვენ კარგად უწყით წმინდა ბერი პაისის შესახებ. მან თქვა: თურქეთი დაიშლება ოთხ ნაწილადო. პირველ ნაწილს მიიღებენ ბერძნები, მეორე ნაწილს ქურთები, მესამეს — სომხებიო, მეოთხე ნაწილს ვინ მიიღებს, ამაზე არ ლაპარაკობს. სინამდვილეში, მეოთხე ნაწილი არის საქართველოს კუთვნილი ტერიტორია, მაგრამ მისი დაბრუნება დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოიქცევა თავად ქართველი ერი. ამ წინასწარმეტყველების გაცხადებასთან არის დაკავშირებული ფაშინიანის ვიზიტი, ლავროვის გააქტიურება, სომხური ლობის მოწოდება, რომ საქართველომ მხარი დაუჭიროს თურქეთს. ამ მიმართულებით ისაუბრა ამ დღეებში სააკაშვილის დედამ, რომელმაც პირდაპირ მოუწოდა მაყურებლებს: ჩვენ თურქებს უნდა დავუდგეთ გვერდითო. პროსააკაშვილისტები ყველა თურქეთს უჭერენ მხარს.

**— რატომ?**

— იმიტომ რომ, სომხური ლობის მიზანია, თურქეთის ნანგრევებში მოჰყვეს საქართველო.

ის, რაც 40 წლის წინ ბერმა პაისიმ თქვა, ცხადდება. თურქეთის დაშლის საკითხი გადაწყვეტილია.

სხვათა შორის, ბერი პაისის წინასწარმეტყველებაში ისიც წერია — კონფლიქტი ცოტა ხანს გაჩერდება და ისეთი ილუზია შეიქმნება, რომ, თითქოს, თურქეთი იგებს ომსო, მაგრამ მერე მოხდება ისე, რომ რუსეთის ჯარი კონსტანტინეპოლს აიღებსო.

**— მაგრამ თქვენ ჩვენთან ინტერვიუში ადრე თქვით: ამერიკული და რუსული სომხური ლობები გარიგდნენ, რომ ისინი რუსეთის სანაცვლოდ კავკასიას მიიღებდნენ. რუსეთის ჯარი კი მზადაა ფართომასშტაბიანი ომისთვის, ანუ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯერ არ არის წინასწარმეტყველების ასრულების დრო მოსული?**

— სომეხთა რუსი და ამერიკელი ლობისტები გარიგებული იყვნენ ბაიდენის ჯგუფთან და ახლა ხელსაყრელ დროს ელოდებიან.

ტრამპის იმპიჩმენტამდე მე გავმართე აქცია ამერიკის საელჩოსთან და მოვუწოდე, დაენიშნათ ელჩი საქართველოში. იმის მიუხედავად, რომ შესანიშნავად ვიცოდი, ის ხალხი, რომლებიც დღეს საელჩოში მუშაობენ, ტრამპის პოლიტიკას არ ემსახურებიან.

როგორც კი ტრამპმა გაიმარჯვა, მოწინააღმდეგე ძალებზე რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სს საქმე აღძრა სომხური ლობის წინააღმდეგ.

ასე რომ, ის გეგმა, რაც ჰქონდა სომხურ ლობს, ამჯერად, ჩაიშალა.

დღეს მთავარი მოთამაშე რეგიონში საქართველო გახდა. ის ხელმძღვანელები, რომლებიც საქართველოში დღეს წყვეტენ მთავარ საკითხებს, თუ სწორად მოიქცევიან, დაკარგული ტერიტორიები დაბრუნდება. იმიტომ რომ, კიდევ ვიმეორებ: თურქეთის დაშლას წინ არაფერი აღარ უდგას.

**— თუკი თურქეთი დაიშალა, და როგორც თქვენ ბრძანეთ, მას მეზობელი სახელმწიფოები დაინაწილებენ, ის დისბალანსი, რომელიც ასე თუ ისე, იყო რეგიონში, ჩვენ სასარგებლოდ წარიმართება?**

— გმადლობთ ამ შეკითხვისთვის.

სხვათა შორის, მსგავს „საშიშროებებზე“ უკვე ალაპარაკდნენ საქართველოს მოღალატეები და მე გამახსენდა, როდესაც სსრკ ინგრეოდა, ყველა ამბობდა: ეკონომიკური ბლოკადა იქნება, მშიერი მოვკვდებით და ასე შემდეგო. კრიზისები იყო და არის, მაგრამ რაც ხდება, ყველას მშვენივრად მოგვეხსენება, ხელოვნურადაა გამოწვეული. იგივე ხორბლის მარაგი, რომელიც საქართველოს ჰქონდა კრიზისული ვითარებებისათვის რეზერვში, ანზორ ბურჯანაძემ გაიტანა საქართველოდან და სანაცვლოდ ბაღლინჯოებიანი ფქვილი შემოიტანა. ჯერ კიდევ სტალინის პერიოდიდან მოყოლებული ჰქონდა საქართველოს ხორბლის გარდა საკვები პროდუქტების და უამრავი სხვა რეზერვები.

თურქეთის დაშლა გარკვეულ ძალებს ისე სურთ, რომ რეგიონში ამან დისონანსი არ გამოიწვიოს.

**— გამოდის, რუსეთი სტალინის და ბერიას გეგმას მიჰყვება, თურქეთის დაშლა რომ განიზრახა?**

— თურქეთის დაშლის გადაწყვეტილება რუსეთს ერთპიროვნულად არ მიუღია, ეს იყო ერთობლივი გეგმა. იმიტომაცაა პუტინი ასეთი თავდაჯერებული. მან იცის, რომ მოქმედებებში მწვანე შუქი აქვს ანთებული, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ მან მინიმალური დანაკარგები მიიღოს და დიდი აჟიოტაჟიც არ შეიქმნას. ამიტომაც აღიარა სომხების გენოციდი ამერიკამ ახლახან და მერე ბაშარ ასადმა.

ნატო და ევროკავშირიც არ დაუდგა სირიის კონფლიქტში თურქეთს გვერდით.

**— თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ე.ი. რა გამოდის: საომარ კონფლიქტებში თუ ინტერესი აქვს ნატოს, დაეხმარება თავის წევრ ქვეყანას, თუ არ აწყობს — არა?**

— როცა ნატოს დასჭირდა თურქეთის ტერიტორია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დასაბომბად, თურქეთმა ამაზე უარი თქვა. თურქეთი ცდილობს, ყველაფერი ისარგებლოს არაფრის სანაცვლოდ.

8 გვ. →



# ციკლიდან – კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N7)

ვაგრძელებთ საუბარს თემაზე, კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩეჩენი ჟურნალისტი, 1999–2009 წლებში ე.წ. იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში ისლამ საიდაევი, თავად საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდა ქვეყანაში, კერძოდ, პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორიზმის ბუდის შექმნაში. ქართველი ძალოვანები საკუთარი ხელმძღვანელობის ნებართვითა და უშუალო განკარგულებით, ყველანაირად ეხმარებოდნენ მეზობელი ტერიტორიებიდან, თურქეთიდან და ბაქოდან საერთაშორისო ტერორისტების შემოდინებას, რომელთაგან ბევრი „ალ ქაიდასთან“ კავშირში იყვნენ. ისინი ტერორისტებს თავისუფლად უშვებდნენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, საზღვართან ხვდებოდნენ და აცილებდნენ, რაშიც ცხადია, ფულს იღებდნენ. მათი ნებართვის გარეშე,





საქართველოში არავინ ჩადიოდა. ფული, მედიკამენტები, აღჭურვილობა და სხვა ტვირთები ჰუმანიტარული დახმარების სახით, ჩეჩენ მებრძოლებსა და საერთაშორისო ტერორისტებს „ალ ქაიდადან“, ქართული სპეცსამსახურებისა პატრონაჟითა და დახმარებით მიეწოდებოდათ, სხვა გზით იქ ვერაფერი შევიდოდაო. თავიდან ბევრი ადამიანი, მათ შორის, საიდაევიც თურმე ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი ჩეჩენი ხალხის საკეთილდღეოდ კეთდებოდა. სინამდვილეში პანკისის ხეობაში ტერორისტული ანკლავის შექმნა და ამ საბაბით ამერიკელების იქ შეყვანა იყო. ეს იმ შეთანხმება-ხელშეკრულებების გვერდის ავლით მოხდა, რაც ამერიკა-რუსეთს შორის, საქართველოსთან დაკავშირებით იყო მიღწეული. მოსკოვი გაჩუმდა ამ დარღვევაზე, ეტყობა კრემლშიც ფიქრობდნენ, რომ ამერიკელები მართლაც დაეხმარებოდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ეს მხოლოდ ბრძოლის ინსცენირება იყო. რატომ იყო ინსცენირება, როცა პანკისის ხეობაში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ იქ არაბი მებრძოლები აღარ უნახავთ, საიდაევი ასე ხსნის, ამ ოპერაციის წინ, პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ტერორისტმა, ძმები ლორთქიფანიძეების, გია გაბუნიას და სხვათა დახმარებით, იქაურობა დატოვეს და ბაქოსა თუ თურქეთში გადავიდნენ.

გია, იგივე გიორგი (მოწონს როცა ასე მიმართავენო) გაბუნია იმ პერიოდში ანტიტერორისტული ცენტრის (ატც) ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ყოფილა. „ვარდოსნებს“ დაუფასებიათ გაბუნიასთვის „დამსახურებები“ და ამ უწყების შეფად გაუმწესებიათ. საიდაევის ინფორმაციით, ცენტრის ოპერთანამშრომლები, რომლებიც „იმპორტირებულებს“ აცილებდნენ და საზღვრის გადაკვეთაში ეხმარებოდნენ, თითო არაბისგან 3–3 ათასი დოლარი იღებდნენ, ეს ყოფილა ოფიციალური „ტაქსა“, რასაც თურმე არც მალავდნენ. ჩემი პანკისელი ნაცნობები აგროვებდნენ ფულს არაბებისთვის და მეც მომმართესო. ამ ყველაფერს გია გაბუნია კურირებდა. ტერორისტებთან „მებრძოლებმა“ ტერორისტების ხეობაში შეყვანაშიც აიღეს ფული, მათი იქიდან გაყვანის დროსაც აიღეს, როგორც ამერიკელებისა და ჩეჩნებისგან, ისე რუსებისგანაც. რუსულმა სპეცსამსახურებმა „ბოევიკ“ კრიმშამხალოვის ასაყვანად ოპერაცია რომ ჩაატარეს, იგი მოსკოვში სახლების აფეთქებაში ბრალდებულთაგან ერთ-ერთი იყო, „ლორთქიფანიძე-გაბუნია და კომპანიამ“ რუსებისგანაც აიღეს ფული, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხმები აქტიურად ვრცელდებოდაო. რაც შეეხება რუსეთისთვის „ბოევიკების“ გადაცემას, საიდაევის განცხადებით, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს ყარაჩაის ჯამაათის 14 წევრი გადასცეს. ამ ახალგაზრდებს ჯერ თვითონ დაეხმარნენ ქართველები მაღალმთიანი სვანეთის (კოდორის ხეობა) მონაკვეთიდან საქართველოში გადასვლაში, მათ ღამე ქართველი ძალოვანების ყაზარმებში გაათევინეს. იმ პერიოდში რეგიონის გუბერნატორი ემზარ კვიციანი იყო. შემდეგ ეს ახალგაზრდები დააპატიმრეს და რუსულ მხარეს გადასცეს. რუსლან გელაევმა და სხვა საველე მეთაურებმა ულტიმატუმიც კი წაუყენეს ქართველ ძალოვნებს, რომ ეს ბიჭები არ გადაეცათ რუსეთისთვისო. თავად გელაევიც თავისი რაზმით, აფხაზეთში გადასვლის დროს მიატოვეს, გაწირეს ქართული სპეცსამსახურის ამ „თვალსაჩინო“ წარმომადგენლებმა, გელაევმა ძლივს გამოაღწია ცოცხალმაო. საიდაევი გია ლორთქიფანიძის „დიადი“ კარიერის გაკეთების მთავარ ფაქტორად იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ გია ახმეტის ყველა ზემოხსენებულ ოპერაციაში ასე თუ ისე მონაწილეობდა. ის საკმაოდ სერიოზულ მუშაობას ეწეოდა ჩეჩენ საველე მეთაურებთან, რაც ძალიან რთულია, არასდროს იცი ისინი ბოლოს რას მოიმოქმედებენ, მაგრამ ახმეტელი ქართველები საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქისტებთან, ამიტომ ერთმანეთს კარგად უგებდნენ. ვიცი, რომ ლორთქიფანიძე დღესაც ინარჩუნებს კავშირებს მათთან, ვისთანაც ადრე მუშაობდაო. ზუსტად ამ „კავშირების“ გამოძახილი მგონია, გასულ წელს პანკისის ხეობაში მომხდარი ინციდენტი, როცა ქისტები ქალიან-ბავშვიანად გამოეფინენ და ლამის ლოდები დაუშინეს ქართველ სამართალდამცავებს. იმიტომაც იცავდნენ კოლექტიური ნაცები და მათი სატელიტი ჟურნალისტ-„ენჯეოშნიკები“ ხმის ჩახლეჩვამდე „მოიერიშეებს“ და ნამუსზე აგდებდნენ ხელისუფლებას. სიმართლე გითხრათ, რაღაც არ მახსოვს ხეობელების ასეთი „თავგამოდებული“ ბრძოლა ძალოვნების წინააღმდეგ ნაცრეჟიმის დროს, როცა საკუთარ სახლში გამოწვეს ორი ქისტი ახალგაზრდა, ან ლოპოტას ხეობაში მძინარეები რომ ჩახოცეს ჩეჩენი და პანკისელი ახალგაზრდები. სხვათა შორის, არც ამ ახალი დროის „გმირად“ გამოცხადებული ვახამალხაზ მაჩალიკაშვილის პროტესტი მახსენდება ხსენებულ ტრაგედიებთან დაკავშირებით, ახლა 24-საათიან რეჟიმში რომ გვიკრაჭუნებს კბილებს, ნაცტელევიზიების ეთერიდან. ეტყობა ამ „პატივცემულს“ ნაციხელისუფლების მხრიდან უშუალოდ ჩეჩენ-ქისტების მიმართ ჩადენილ ამაზრზენი დანაშაულობებიც, სხვის ჭირად მიიჩნია, თორემ კიევში როგორ ეახლებოდა მავანთაგან „მსოფლიო დონის“ პოლიტიკოსად და „დემოკრატიის შუქურად“ გამოცხადებულ, კიევურ „კრიშებზე“ მორბენალ სააკაშვილსა და მის უკრაინაში გადახვეწილ „სვიტას“.

საიდაევი გია ლორთქიფანიძეს ძალზე არასანდო, საშიშ პიროვნებად იხსენიებს, ხელისუფლებისთვის არასასურველი ადამიანების მოშორების სპეციალისტია. სააკაშვილის მმართველობის დროს, ღიად თუ ფარული მეთოდებით ძალიან ბევრი ადამიანი იქნა მოცილებული, ოპოზიციონერების გარდა, უბრალოდ განსხვავებულად მოაზროვნე ხალხი. ზოგი ღიად გაანადგურეს. სხვები გულის შეტევით, ან უბედური შემთხვევის, აივნიდან თუ კიბიდან გადავარდნის გამო იღუპებოდნენ, თუმცა ყველა ხვდებოდა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი სიკვდილიო. ვფიქრობთ, ერთი ასეთი „უბედური შემთხვევის“ მსხვერპლი ეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსი, ღირსეული ქართველი, ექს-პარლამენტარი ჯემალ გოგიტიძე იყო. ბატონი ჯემალი მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში ვითომდა უცნობ პირებთან შელაპარაკების დროს, კიბიდან გადავარდა, თავის არეში მძიმე დაზიანება მიიღო და მალევე გარდაიცვალა. იგი 50 წლისაც არ იყო, როცა დიდი ალბათობით ხელოვნურად წარმოშობლი კონფლიქტის შედეგად გამოასალმეს სიცოცხლეს. საიდაევის განცხადებით, გია ლორთქიფანიძე, როგორც შს მინისტრის მოადგილე, ამგვარი „საქმეების“ მთავარი კურატორი იყო. ნაცმოძრაობამ კი დაამყარა წესრიგი სამართალდამცავ სისტემაში, მაგრამ თუ ამერიკის ხარჯზე ღირსეულ ხელფასებს გადაუხდი თანამშრომლებს, წესრიგის დამყარება სიძნელეს არ წარმოადგენსო. სააკაშვილი და ლორთქიფანიძე ოდესაში იმიტომ მიავლინეს, რომ ისინი აშშ-ის ინტერესის უსიტყვოდ გამტარებლები იქნებოდნენ. ოდესა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მნიშვნელოვანი ადგილია, იქაური მოსახლეობის უმრავლესობა პრორუსულადაა განწყობილი. „მივლინებულნი“ ოპოზიციონერებს ალბათ ფიზიკურად გაანადგურებენ, ეხერხებათ ამის კეთება, ოღონდ თვითონ ჩრდილში დარჩებიან, საზოგადოებას იმ ვერსიას შეასაღებენ, რომ ეს რუსულმა სპეცსამსახურებმა, ანდა ჩეჩენმა ტერორისტებმა გააკეთეს. ისინი ასეთი ხრიკების, ქვეშქვეშობის სპეციალისტები არიან. ამის მაგალითად, ჩეჩენ ჟურნალისტს შამილ ბასაევის ლიკვიდაცია მოყავს, რაც რუსულმა სპეცსამსახურებმა საკუთარ თავზე მიიწერეს, სინამდვილეში ქართული სპეცსამსახურების შესრულებულია, ოპერაციის კურატორი გია ლორთქიფანიძე გახლდათო.

შამილ ბასაევის ლიკვიდაცია 2006 წლის 10 ივლისს ინგუშეთის დედაქალაქის მახლობლად, სოფელ ეკაჟევოსთან მოხდა. ისე მანამდეც ვრცელდებოდა ხოლმე ინფორმაციები ბასაევისა და სხვა მებრძოლი ლიდერების განადგურებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2000 წლის მაისში, 2005 წლის თებერვალსა და ოქტომბერში. რუსული სპეცსამსახურები ყოველ ჯერზე აცხადებდნენ, რომ ბასაევი სპეცოპერაციის შედეგად მოკლეს. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (უფს) ინფორმაციით, ბასაევი 10 ივლისის ღამეს იმ იარაღითა და საბრძოლო მასალით დატვირთული „კამაზის“ აფეთქების შედეგად დაიღუპა, რომელიც „სარდალსა“ და მის თანმხლებთ აცილებდა. ბასაევთან ერთად დაიღუპა კავკასიური ფრონტის ინგუშური სექტორის მეთაური ისა კუშტოვი და რამდენიმე მებრძოლი. ასლან მასხადოვის ლიკვიდაციის შემდეგ, რუსული სპეცსამსახურებისთვის აუცილებელი იყო შამილ ბასაევის ხელში ჩაგდება, მის განადგურებამდე ე.წ. იჩქერიის პრეზიდენტი სადულაევი მოკლეს. ბასაევი ბოლოს 2006 წლის ივნისის დასაწყისში, ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ნახეს, ჩატარდა ოპერაცია მაგრამ ტერორისტმა ალყიდან გაღწევა შეძლო. უფრო ადრე, გაზაფხულის დასაწყისში მიმდინარეობდა ბასაევის ინტენსიური ძებნა ჩეჩნეთის მთებში. რამზან კადიროვის განცხადებით, რომელსაც მაშინ უკვე იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტი, ძებნაში 3.000-მდე მთების კარგად მცოდნე ადამიანი მონაწილეობდა. მან არც ის გამორიცხა, რომ ბასაევს აქეზებდნენ და მიმალვაშიც ეხმარებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურთა წარმომადგენლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერანაირად შეძლებდა გაქცეოდა სამართალდამცავ ორგანოებსო.

იარაღით დატვირთულ „კამაზებთან“ დაკავშირებით, განსხვავებული ვერსიები არსებობდა, ერთი ინფორმაციით, ინგუშეთის შსს-ს შენობა უნდა აეფეთქებინათ, რაც „დიდი რვიანის“ მომავალ სამიტს უკავშირდებოდა. შემთხვევის ადგილის მოკვლევა-დათვალიერების შემდეგ, რუსეთის უფს-ის უფროსმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ ბასაევი და მისი თანმხლებნი, საიდუმლო სპეცოპერაციის შედეგად გაანადგურეს. ჩეჩენმა სეპარატისტებმა დაადასტურეს ბასაევის სიკვდილი, მათ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი აბუ უმარი აცხადებდა, რომ შამილი და სხვა მათი ძმები, ალაჰის ნებით შაჰიდები გახდნენ და იქვე მიუთითებდნენ, რომ არავითარი სპეცოპერაცია არ ჩატარებულა, ბასაევი შემთხვევით დაიღუპა იმ დროს, როცა სატვირთო ავტომანქანა თავისით აფეთქდაო. როგორც აღვნიშნეთ, ჩეჩენი ჟურნალისტიც ეჭვქვეშ აყენებდა რუსული სპეცსამსახურის ოპერაციას და ქართული მხარის ჩართულობაზე საუბრობდა. იგი ახსენებს ვინმე ალი დაბუევს, მეტსახელად „ზონა“, რომელიც რადიკალ „ბოევიკებს“ განეკუთვნებოდა. „ზონა“ მოგვიანებით თურქეთში დააკავეს, გამოძიების მიმდინარეობისას აღიარა ბასაევის მკვლელობა, იგი მართლაც მონაწილეობდა ბასაევის ლიკვიდაციაში. „ზონა“ საქართველოში ცხოვრობდა, ჰქონდა ქართული პასპორტი რუსლან პაპასკირის სახელზე. ის ორი დანაღმული „კამაზი“, რომელზეც აფეთქდა ბასაევი, თბილისიდან იყო წასული და მათი დანაღმვაც თბილისში მოხდაო. ავტომანქანები 2001 წელს, პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს ყოფილა კონფისკირებული და 2006 წლის ივლისამდე ანტიტერორისტული ცენტრის (ატც) შენობის უკანა





8 გვ. →



# ბერი პაისის წინასწარმეტყველების მიხედვით, თურქეთი ოთხ ნაწილად უნდა დაიშალოს...

6 გვ.

ამასთანავე, ნატოს დებულების მე-5 პუნქტში არსად წერია: თუ რომელიმე წევრი ქვეყანა რომელიმე სახელმწიფოში თუ შეიჭრება, მხარს დაუჭერს სამხედრო ძალით. თურქეთი თავს დაესხა სირიას. თქვენ იცით, რომ სირიის ტერიტორია აქვს მას მიტაცებული.

**— საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს თურქეთს უჭერს მხარს რუს ოკუპანტთან ბრძოლაში.**

— მცდარი ინფორმაცია გაქვთ. გავიდეთ ქუჩაში და იქ ნახავთ, რომ 100 კაციდან 10 თუ უჭერს მხარს თურქეთს და ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც ნათესავი ჰყავთ დასაქმებული თურქეთში, ან სააკაშვილის დაკრულზე ცეკვავენ. აბა, რომელი ნორმალური ქართველი დაიკიდებს სახლში თურქეთის დროშას?! ვინც ამას გააკეთებს, ის ებრძვის დავით აღმაშენებელს და მის მეომრებს.

თურქეთი ჩვენი გენეტიკური მტერია.

საქართველოს ყველაზე საუკეთესო მიწები თურქეთს აქვს მიტაცებული. სხვათა შორის, ტრაპიზონი მთლიანად ქართული ტერიტორიაა.

**— ანუ ჩვენი ორი მტერი — თურქეთი და რუსეთი რომ ერთმანეთს ებრძვის, უნდა გვიხაროდეს.**

— მაგრამ რატომ ორი და არა ოთხი? სომხეთი და აზერბაიჯანი რატომ გავიწყდებათ?

დავით გარეჯი სამხედრო მნიშვნელობის სიმაღლეა, სადაც ადრე იყო რუსეთის სამხედრო ბაზა. გარეჯის საკითხის გამწვავება პირდაპირ უკავშირდება არსებულ კონფლიქტს, მიმდინარეობს ბრძოლა კავკასიისთვის პროთურქულ და პროარმენულ ძალებს შორის. რუსეთში საკმაოდ ძლიერია სომხური ლობი. ამიტომ მათი მიზანია, ჩვენ ვიდგეთ თურქეთის მხარეს.

ბერი პაისის წინასწარმეტყველებაც რომ არ გავითვალისწინოთ, ისედაც აშკარაა თურქეთის ირგვლივ მიმდინარე პროცესები.

**— საქართველოს ხელისუფლების პოზიციები როგორი უნდა იყოს?**

— უკვე გითხარით: საქართველოს ბედი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად მოიქცევა ჩვენი მხარე.

ორი ძლიერი მეზობლის დასუსტებით ჩვენ ბევრ რამეს ვიგებთ, რადგან ორივე სახელმწიფოს ჩვენი ტერიტორიები აქვს მიტაცებული.

აქვე ავღნიშნავ, რომ სომხეთი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ სომხებს დაჟინებით მოუწოდებს, დაბრუნდნენ სომხეთში, რისთვისაც შესაბამისი თანხაა გამოყოფილი მათი დამკვიდრებისთვის სომხეთის ტერიტორიაზე. ახლახან ფაშინიანის და გახარიას შეხვედრაზე ერთმა სამცხე-ჯავახეთელმა სტუდენტმა შეკითხვა დაუსვა ფაშინიანს: საქართველოში მცხოვრები სომხებისთვისაც თუ მოქმედებს იგივე პროექტები სომხეთში გადმოსახლების შემთხვევაშიო? ფაშინიანმა უპასუხა: მე ვთვლი, რომ თქვენ თქვენს სამშობლოში ცხოვრობთ და არსადაც არ უნდა წახვიდეთო. სიტყვასიტყვით ასე თქვა. მერე არმენული აფერისტობით, ვითომ შეალამაზა ეს აზრი და დასძინა: თქვენ უნდა იამაყოთ საქართველოს მოქალაქეები რომ ხართ და უნდა იზრუნოთ საქართველოს ძლიერებისთვისო.

**— ანუ?**

— ანუ მათ სურთ, საქართველო კი არ დაიცალოს არმენული ეროვნების მოქალაქეებისგან, არამედ მათ გააკეთონ კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება და პირდაპირ სომხები მოვიდნენ საქართველოს ხელისუფლებაში. ფაშინიანის სიტყვები პოლიტიკურად სწორედ ამას ნიშნავდა.

ფაშინიანის აზრით, თბილისი და საქართველო არმენების სამშობლო ყოფილა და აქედან რატომ უნდა წავიდნენ?!

თანაც, საქართველოსთვის უნდა იბრძოლოო, ე.ი. საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოხვიდეო, უთხრა სტუდენტს.

მოკლედ, რაც ადრე ვთქვი ინტერვიუებში, ფაშინიანმა ეს აშკარად აღიარა გახარიასთან შეხვედრისას.

გახარიამ ამ შეხვედრაზე სიმბოლურად აჩუქა ფაშინიანს კავკასიური ნაგაზი, რითაც მიანიშნა: ნაგაზი პატარაა, მაგრამ შენ მას ნუ ეხუმრებიო.

აქვე 20 ივნისის მოვლენები და არმენული პუტჩის მცდელობა მახსენდება. რაც ფაშინიანმა თქვა, ეს იყო 20 ივნისის მოვლენების გაგრძელების მცდელობა და ეს კარგად უნდა გავითვალისწინოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი

7 გვ.

ეზოში მდგარა. ეს „კამაზები“ დანაღმეს, იმ ცეცხლსასროლი იარაღით დატვირთეს, რომელიც ბასაევს ქართველებისგან ჰქონდა ნაყიდი და „დანიშნულების ადგილისკენ“ გაუშვეს. მთელი ეს „სამუშაო“ გია ლორთქიფანიძის უშუალო მონაწილეობით ჩატარდაო. ასე რომ, ტყუილად არ ამბობენ, „უმწიკვლოებაზე“ პრეტენზიის მქონე ნაციონალების მმართველობის დროს ნარკოტრეფიკთან ერთად, იარაღით ვაჭრობაც ყვაოდა და ეს ხელისუფლების მაღალი ეშელონების ხელდასმით ხდებოდა, რაშიც სააკაშვილსა და მის „ნაკაგებეშნიკარ“ ბიძია თემურს ლომის წილი მიუძღვოდათ. სააკაშვილის ხელქვეითთა საქციელს, ეს ჩვენი ყოვლისმცოდნე ჟურნალისტი, რაღაც საეჭვოდ ხვევს პატრიოტულ საბურველში, ბასაევის განადგურება ქართველების შურისძიება იყო აფხაზეთის ომის გამო. ისინი ბასაევს ადანაშაულებდნენ თავიანთ წარუმატებლობებში, თვლიდნენ რომ მის



გამო წააგეს ომი და დაკარგეს აფხაზეთიო. ისლამ-ბატონო, ათ წელზე მეტ ხანს გაქანებული აღებ-მიცემობა რომ ჰქონდათ გაჩაღებული მაგ „ქართველებს“ ბასაევთან და ქართველების სისხლში გათხვრილ სხვა ჩეჩენ „ბოევიკებთან“, მაშინ რატომ არ აწუხებდათ „შურისძიების წყურვილი“? არც შეაწუხებდათ, რომ არა სავარაუდოდ, სიგნალი საიდანღაც, თუმცა საიდაევი ცდილობს ამ საკითხზე საუბარს თავი აარიდოს.

საიდაევი აცხადებდა, რომ დაზუსტებით იცის, ბასაევის ლიკვიდაცია ქართული სპეცსამსახურის გაკეთებულია, რომ იარაღს ქართული მხარე ყიდდა. „ზონა“, ანუ დაბუევ-პაპასკირი ამ ყველაფერში უშუალოდ მონაწილეობდა, იარაღს იძენდა, ფულს გადასცემდა, ტვირთს ღებულობდა და გადაჰქონდა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. ის იყო „ბოევიკების“ ოფიციალური წარმომადგენელი და ყველაფერი მისი მეშვეობით ხდებოდა, მერე მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ქართული სპეცსამსახურების აგენტიც იყო. რა თქმა უნდა მადლობა მათ, რომ საერთაშორისო დონის ტერორისტი ბასაევი გაანადგურეს, მაგრამ ეს ცხადყოფს, რომ ისინი არასაიმედო ხალხია. ამიტომაც არ ყავთ და არც არასდროს ყოლიათ მოკავშირეები.

საიდაევის გარდა, ასეთი ფუნქციით კიდევ რამდენიმე პირი ყოფილა, მერე ყველა მათგანი ფიზიკურად მოუშორებიათ. ერთი მათგანი უგზოუკვლოდ დაკარგულა. ფაშაევი, ურუს-მარტანელი ძმები ახმადოვების წარმომადგენელი იყო საქართველოში. იგი დაკავშირებული იყო არბი ბარაევთან, რომელიც მოსკოვში ტერორისტების მიერ „ნორდ ოსტის“ შენობის დაკავებაში მონაწილეობდა. საიდაევის განცხადებით, ფაშაევი უშუალოდ გია ლორთქიფანიძესთან, ანტიტერორისტულ ცენტრის ხელმძღვანელობასთან თანამშრმლობდა. მისი მეშვეობით ჩატარებულა რიგი ოპერაციები. მოგვიანებით თბილისში იპოვნეს მისი ავტომანქანა უამრავი ნატყვიარითა და სისხლის კვლებით, თუმცა ადამ ფაშაევი ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი ვერ აღმოაჩინეს. სად გაქრა და რა მოუვიდა არავინ იცის. საიდაევის თქმით, რამ-



დენჯერმე მისი მოშორებაც სცადეს „ლორთქიფანიძე და კომპანიამ“, მაგრამ ვისაც ამას უკვეთავდნენ, ისინი ჩემთან მოდიოდნენ და მაფრთხილებდნენ, შენი მოცილება გვაქვს დავალებული, უარის თქმა არ შეგვიძლია, ამიტომ დროებით სადმე დაიმალეო. ასე „კონსპირაციულად“ ვცხოვრობდი რამდენიმე წელი ექს-პარლამენტარის, აფხაზეთის ბატალიონის მეთაურ ბო-




რის კაკუბავას სახლში. მისი ყოფილი მებრძოლები დღე და ღამე მიცავდნენ, ეზოდან ნაბიჯს ვერ ვდგამდი. საქართველოში კარგი ადამიანების დახმარებით გადავურჩი სიკვდილსო.

რუსი ჟურნალისტი განცხადებით, როცა პანკისში იყო ჩასული, ლოპოტის ხეობაში მომხდართან დაკავშირებით, ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად, ხშირად ესმოდა ზელიმხან ხანგოშვილის სახელი, რომელიც გარეული იყო ამ ისტორიაში. ხანგოშვილი პანკისის ჯამაათის ლიდერი იყო. ლოპოტის სისხლიანი სპეცოპრაციისას დაღუპული ქისტების ნათესავებს მისთვის უთქვამთ, რომ ხანგოშვილი ამ ისტორიაში მთავარი ფიგურა იყო. ის ინფორმაცია მომაწოდეს, რომ ხანგოშვილი ან აგენტი, ანდა თანამშრომელი იყო ნაციონალების მმართველობის დროინდელი ანტიტერორისტული ცენტრისო. საქართველოში ხელისუფლების შეცვლისა და ლორთქიფანიძის უკრაინაში გადაპორტირების შემდეგ, მან გვამცნო, რუსულ სპეცსამსახურებს ჩემი, ზელიმხან ხანგოშვილის და „ზონა“ დაბუევ-



პაპასკირის მოშორება უნდოდათო. ხანგოშვილზე მართლაც განხორციელდა წარუმატებელი თავდასხმა იმ გაგებით, რომ ის მხოლოდ დაიჭრა. ეს ლორთქიფანიძის ოდესის პოლიცმეისტერად დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ, 2015 წლის 28 მაისს მოხდა. ხანგოშვილს თბილისის ცენტრში იმ დროს ესროლა რამდენჯერმე უცნობმა ახალგაზრდა მამაკაცმა, როცა იგი საკუთარ ავტომანქანაში იჯდა. იგი ხელისა და მხრის არეში დაიჭრა, ოპერაცია თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ჩაუტარდა. ხანგოშვილის მეგობარმა მეგობარმა საიხან მურზაევმა ვარაუდი გამოთქვა, რომ თავდასხმა რუსეთის სპეცსამსახურების მოწყობილი იყო. ხანგოშვილმა საქართველოს შსსსგან სპეციალური დაცვის დანიშვნა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მოგვიანებით იგი საქართველოდან წავიდა, გასული წლის 23 აგვისტოს გერმანიაში მოკლეს, მას თავის არეში ჰქონდა მიყენებული სასიკვდილო ჭრილობა. ხანგოშვილის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია პანკისის სალაფიტური (ვაჰაბიტური) თემის წარმომადგენელმა მუსა პანკისელმა (მურაზ გოდერძიშვილი) გაავრცელა. ქართული მედია ხანგოშვილის შესახებ წერდა, რომ იგი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მონაწილე იყო, ერთ-ერთი საველე მეთაური, რის გამოც მოსკოვს მასზე ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. იგი წლების განმავლობაში თორნიკე ქავთარაშვილის სახელით ცხოვრობდა საქართველოში. არც ქართული მედიას დაუმალავს, რომ ზელიმხან ხანგოშვილი, მეტსახელად „ზელო დიშნი“ „ვარდოსნების“ დროინდელ შსს-სთან თანამშრომლობდა. იგი ლაფანყურის ოპერაციაშიც მონაწილეობდა, თავადვე აცხადებდა, რომ ახმედ ჩატაევთან ერთად, შსს-ს წარმომადგენლებმა გააგზავნეს უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებთან მოსალაპარაკებლად და რომ ჩატაევი უშუალოდ მისი თხოვნით ჩავიდა ლოპოტის ხეობაში. აქ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, სწორედ ხანგოშვილმა იკისრა შუამავლობა შეიარაღებულ ჩეჩნებსა და საქართველოს სამართალდამცავებს შორისო. სააკაშვილისა და მისი გუნდის მიმართ ლოიალურად განწყობილ, ამ დასავლურ „დემოკრატიულ-ობიექტურ“ მედიასაშუალებებს, რა თქმა უნდა ერთი სიტყვა არ აქვთ ნათქვამი, საიდან გაჩნდა ეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება ლოპოტის ხეობაში და რეალურად რა მოხდა იქ.

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

# ცეტი შალო



## ლირიკული შესავალი

**(ფორმა აღებულია ნუგზარ შატაიძის ერთ-ერთი მოთხრობიდან)**

– ახალი ამბავი გაიგე, კაცო?

– რა ამბავი, დედაკაცო?

– შალო გაგიჟებულა.

– აბა შალო?

– აგე, ბაზალეთში რო აქ კაი სახლი.

– ერთი მაგისიც!

– ვერ მიხვდი, ხო?

– ვერა!

– შალიკო, კაცო, ტელევიზორში რო ყვირის ხოლმე.

– რავი, ტელევიზორში რომელი არა ყვირის?!

– შალო, ადამიანო, ნათელაანთ შალიკო!

– ჰოოო, გავიგე, რა დამართნია?

– გაგიჟებულა!

– ეგ გიჟი არ იყო?

– ჰო, მაგრამ უფრო გაგიჟებულა, დაუკრეფავში გადასულა., სახლში ჭურჭელს ამტვრევსო.

– ერთი მაგისიც!



●

და მაინც... რატომ გაგიჟდა ბატონი შალო? რამ აიძულა, შეგნებულად გადაედგა ასეთი ნაბიჯი და ხალხის ყბაში ჩავარდნილიყო?

ერთნი ამბობენ, ეგ ეგეთი გიჟი იყო ყოველთვის, უბრალოდ ხალხის დაბოლება ადრე უკეთესად გამოსდიოდაო. მეორენი ამტკიცებენ, იმდენი უყო ბიძინა ივანიშვილმა, საერთოდ ამოაგდო გრაფიკიდან და აზრზე აღარ არი, რეებს ლაპარაკობსო.

და მაინც... რაში გამოიხატება შალოს ცეტობა? სანამ ამ თემაზე დეტალურად გაგესაუბრებით, უნდა აგიხსნათ, რომ სიტყვა „ცეტი“, სავარაუდოდ, თურქული უნდა იყოს, ამიტომაცაა კახეთში ფრიად გავრცელებული და ნიშნავს შტერს, ქარაფშუტას, რეტიანს.

## ცეტობა პირველი, ანუ ცოდვილი შალო

**(სტილი დაცულია)**

„ცოდვილი ვარ და შემრისხე თ. ამ სპორტული მხედრიონის გამო ქართული პროფესიული სპორტის გაგონება არ მინდა. აღარ გვინდა ბატონო ასეთი კუნთიანი და სულამოცლილი ჩემპიონები. მილიონები რასაც ისინი შეექცევიან უნდა გადავისროლოთ მასობრივი სპორტის დასაფინანსებლად. ჯანმრთელი მომავალი თაობა მაინც გვეყოლება“.

ეს „შედევრი“ შალომ მაშინ გამოაცხო, როცა რაგბის ფედერაციამ ბიძინა ივანიშვილს დაბადების დღე მიულოცა. დიახ, ფედერაციამ ივანიშვილს დაბადების დღე მიულოცა იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ქართულ რაგბს აფინანსებს და სპორტის ამ სახეობის აღორძინებაში იგივე ივანიშვილს მიუძღვის ძალიან დიდი წვლილი. რამ აიძულა ბატონი შალო, ასეთი სისულელე დაეწერა? პასუხი: შალოს დავთრების თანახმად, ამ ქვეყანაში, სადაც ბიძინა უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებს, ყველას უნდა სძულდეს, დაბადების დღის მილოცვაც კი ითვლება დიდ სირცხვილად და ერის ღალატად. ამ ე.წ. პოლიტიკოსმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ ივანიშვილი ბევრს არ სძულს, პირიქით, მას პატივსაცემ ადამიანად თვლიან, მაგრამ ის თავისებურ უნიჭო სურათს ხატავს. აი, ამიტომაც სძულს სპორტის ის სახეობა და ის ფედერაცია, სადაც ივანიშვილი ფულს ხარჯავს. სამაგიეროდ, შალოს არ სძულს ბიძინას აშენებული სამება, იქ ხშირად შედის ლოცულობს, თავის სიგრძე სანთელსაც ანთებს და პერიოდულად ხატებსაც ემთხვევა ხოლმე. შალოს ასევე არ სძულს მარჯანიშვილის თეატრი, რუსთაველის თეატრი, ოპერის თეატრი და ასე შემდეგ. მეტიც, სანამ ბიძინა გამოჩნდებოდა პოლიტიკაში, შალოს ისე უყვარდა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაც კი შესთავაზა. სად ჯანდაბაში ჰქონდა მაგას პრემიერის თანამდებობა, იმას რომ სთავაზობდა, მაგრამ როგორც მოგვიანებით აღიარა, მე ფული მინდოდა, თორემ ივანიშვილი საერთოდ არ მაინტერესებდაო. აჰა, ხალხო, ცხოვრებამ თავად დახატა შალოს პორტრეტი, თავად აგიხსნათ, რა სულის პატრონიცაა და მე მეტი რაღა უნდა გითხრათ?!

## ცეტობა მეორე, ანუ ხელისუფლების მიერ შემოტანილი კორონა

**(სტილი დაცულია)**

„ესე იგი რატომღაც მგონია, რომ ხელისუფლებას ერთი სული აქვს რამენაირად საქართველოში კორონავირუსი როგორმე გავრცელდეს, რათა ხალხის ყურადღება მისდამი რისხვიდან აქეთ გადაიტანოს. აბა როგორ ავხსნათ ის ნათელი რეალობა, რომ ჩინეთიდან თუ ირანიდან ავიარეისების აკრძალვას ოპოზიციის ხმაური დასჭირდა. აი ახლაც ირანიდან საქართველოსკენ მოემართება 50 ტრაილერი, მოვუწოდებ ამ სამარცხვინო მთავრობას – დაკეტეთ სახმელეთო საზღვარიც. რა მნიშვნელობა აქვს ვირუსი შემოაღწევს ავიარეისების თუ საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით. არა მართლა აგრძელებთ ჩემს გაოცებას“.

როგორც ხედავთ, შალო ისე გაცეტდა, სახმელეთო საზღვრის დაკეტვას ითხოვს ირანთან. მან არც კი იცის, რომ საქართველოს ირანთან არ გააჩნია სახმელეთო საზღვარი!

ირანს ესაზღვრება: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, თურქმენეთი, ერაყი, ავღანეთი და პაკისტანი!

საქართველოსა და ირანს შორის არის: აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი!

არა, რააა... შალო მართლა აგრძელებს ჩემს გაოცებას!

მეტსაც გეტყვით, ეს ბედოვლათი „პოლიტიკოსი“ აცხადებს, რატომღაც მგონია, ხელისუფლებას ერთი სული აქვს, კორონას როდის გაავრცელებსო. იცით, რატომაო? ხალხის რისხვა რომ ვირუსზე გადაიტანონო. აბა, სად არის ხალხის რისხვა? შალო დარწმუნებულია, აქციაზე 200 გზააბნეულს რომ გამოიყვანენ ხოლმე, ეს ხალხის რისხვაა!

## ცეტობა მესამე, ანუ რა ხდება სოლოლაკსა და შეკვეთილში?

დიახ, მეგობრებო, როგორც კი საქართველოში კორონას პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, შალომ ეგრევე დაარისხა განგაშის ზარები **(სტილი დაცულია)**:

„ხელისუფლებამ იმდენი იღვაწა, ჩვენი არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, იმდენ ხანს არ დაკეტა სახმელეთო საზღვარი, რომ მაინც შემოატანინა ირანიდან კორონავირუსი. ეს იურიდიულადაც უმძიმესი დანაშაულია, განზრახი ქმედებაა, რადგან მთელ ქვეყანას დაემუქრა სასიკვდილო დაავადების საფრთხე. უკვე მიხრწნილ სისტემას უნდოდა რათა მათგან დაზაფრული საზოგადოების ყურადღება გადართულიყო არა რეჟიმის მოცილებაზე, მასობრივ მიტინგებზე, სხვა საპროტესტო აქციებზე, არამედ კორონავირუსზე. დღეს დიდი ზეიმი ექნებათ სოლოლაკსა და შეკვეთილში. მიუხედავად ყველაფრისა ვარწმუნებ – არ გიშველით არც ეს ვირუსომანია. აი ახლაც ხელის დაბანა გვინდოდა გორთან გამავალი ავტობანის სავაჭრო ცენტრის გვერდით არსებულ სანიტარულ წერტილში და მთელი ირანი იქ ბანაობს, ხოლო გარეთ გაუჩერებიათ ორსართულიანი, ირანიდან ჩამოსული საექსკურსიო ავტობუსი. ნორმალურები ხართ?დაკეტეთ საზღვარი სასწრაფოდ“!

უკრაინიდან მიხა სააკაშვილი გვემუქრება, საქართველოში ერთი ირანელიც კი არ დავინახოო, აქეთ შალო იხევა ნაკერავზე, ხომ გეუბნებოდითო? ახლა წარმოიდგინეთ, როგორი ზეიმი იქნებოდა სოლოლაკში, ბიძინა ივანიშვილთან: რა თქმა უნდა, თამადა იქნებოდა ბიძინა და პირველი სადღეგრძელო მიეძღვნებოდა კორონას შემობრძანებას. არის თუ არა ეს ფაქტი საზეიმო? რასაკვირველია, არის, რადგან ქუჩებში აღარ გაიმართება ხალხმრავალი აქციები, ასი ათასობით და მილიონობით გულანთებული ადამიანი აღარ გამოვა ქუჩაში, აღარ მოითხოვენ ხელისუფლების გადაყენებას... არა, ამას კი მოითხოვენ, მაგრამ მხოლოდ სოციალურ ქსელებში. მოკლედ, ეს ხელისუფლება რომ ნორმალური იყოს, პირველ რიგში ირანთან დაკეტავდა სახმელეთო საზღვარს, მაგრამ რათ გინდა? არ არის ნორმალური!



## ცეტობა მეოთხე, ანუ როგორ მოკლა ივანიშვილმა ორი კურდღელი

სხვათა შორის, შალოს აქვს გონივრული ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი კორეელ კიმ ჩენ ინთანაა შეკრული და საქართველოში კორონა სწორედ მისი დახმარებით შემოიტანა. ეხლა, კიმი ის კაცია, ვინმეს რამე უფასოდ მისცეს? იმან გაყიდა ცოტა იაფად, ამან კიდე იყიდა, რათა რამდენიმე კურდღელი ერთდროულად მოეკლა.

პირველი კურდღლის მოკვლა შალოს დავთრების მიხედვით **(სტილი დაცულია):**

„აჰა მთავრობამ აკრძალა ხალხმრავალი ღონისძიებები. რა თქმა უნდა საპროტესტო აქციებიც შედის აქ. გეუბნებოდით ვირუსი ივანიშვილს ტუზივით ეცემა მეთქი. ამაზე ბიძინოიდები ქირქილებდნენ ან ტრადიციულად იგინებოდნენ. მაგრამ, ფაქტი სახეზეა, სანამ არ შემოიტანეს დაავადება საზღვარი, იგივე ირანთან ცოცხალი თავით არ დაკეტეს. ამიტომ შეფასდება, ეს მათი მოცილების შემდეგ, განზრახ სასიკვდილო ინფექციის გავრცელებაში ხელისშეწყობად და ივანიშვილის თამადობით აგებენ პასუხს კანონის მთელი სიმკაცრით“.

გესმით? ივანიშვილს კორონა დაეცა ტუზივით. პირველი – ამ გზით მან აკრძალა ხალხმრავალი აქციები; მეორე – კაი მოგება ნახა საპნის ბიზნესიდან. მან ჩვენ ჩაგვკეტა სახლებში და გვაიძულებს, დღეში ცხრაჯერ დავიბანოთ ხელები. გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: „გირჩელმა“ იაგო ხვიჩიამ განაცხადა, კარანტინში კორონიანები რომ მოათავსეთ, ეს კანონის დარღვევაა, ადამიანს თავისუფლება არ უნდა შეუზღუდოთო. რასაკვირველია, ამას ეთანხმება შალოც და თავის მხრივ ამბობს, ეს არ შეგრჩებათ, მოვა დრო და კანონის მთელი სიმკაცრით აგებთ პასუხსო. არ დამიჯერეთო, ირანთან სახმელეთო საზღვარი რეიზა არ ჩაკეტეთო?!

ისე, ხელისუფლებამ რომ განაცხადოს, ირანთან სახმელეთო საზღვარი ჩავკეტეთო, შალო რანაირად დაუმტკიცებს, რომ მართლა არ ჩაკეტეს?

## ცეტობა მეხუთე, ანუ კიდევ ერთი დანაშაული

შალოს აზრით, ჩვენ არ უნდა მოვხვედრილიყავით იმ 65 ქვეყანაში, სადაც გავრცელდა კორონა **(სტილი დაცულია):**

„მე ვთვლი, რომ ეს იყო დანაშაულებრივი და მინიმუმ დაუდევრობა ხელისუფლებისგან, რომ აქ ფეხი მოიკიდა ამ ვირუსმა. იმით დამშვიდება, რომ სამოცდახუთ ქვეყანაში არის თურმე კორონავირუსი და ჩვენ რა გამონაკლისი უნდა ვყოფილიყავით, არის ასევე დანაშაულებრივი არგუმენტი, რადგან დედამიწაზე ორასი სახელმწიფო არსებობს და 140 ქვეყანაში არ არის ამგვარი ვირუსი, მათ შორის ჩინეთის, სამხრეთ კორეის და ირანის მეზობელ ქვეყნებში, რადგან მათ დაიცვეს თავი და სახელმწიფო. რაღა მაინც და მაინც იმ 65 სახელმწიფოში აღმოვჩნდით, ამითაც რომ ტრაბახობენ“.

მე მგონი, ვერ გაიგეთ, რა თქვა შალომ. ესე იგიო, მსოფლიოში 200 წვეყანაა და რაღა იმ 65 ქვეყანას შორის აღმოვჩნდით, სადაც ვირუსი გავრცელდაო? ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, კორონა უკვე გავრცელებულია 90-მდე ქვეყანაში. ჰოდა, რაღა ამ 90-ს შორის აღმოვჩნდით და არა იმ 110-ს შორის? აი, ამაშია საქმე... აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული!

გენიალური ცეტობა

მას შემდეგ, რაც საქართველოში კორონას 12 შემთხვევა დაფიქსირდა, შალო ხუმრობის ხასიათზე შეიქნა (სტილი დაცულია):

„მოკლედ, ვისაც იტალიური კორონავირუსი შეხვდა ის უკვე ევროკავშირშია შესული ნატოზე კი რა მოგახსენოთ. იქ ალბათ ისევ საფრანგეთი და გერმანია დაადებენ ვეტოს“.

ვერაფერი გაიგეთ, ხომ?

ვერც გაიგებთ!

რატომ?

შალო გაგიჟდა და ამიტომ!

ჰო, ადრეც გიჟი იყო, მაგრამ ეხლა ისეა, სახლში ჭურჭელს ამტვრევს!

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

# რატომ იზრდება საქართველოში უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის



## საქართველოს ეკონომიკური წარუმატებლობის მიზეზი ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკაა

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის მოწვეული სპეციალისტი, პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი*
*თორნიკე ჩივაძე*

— როდესაც საუბრობენ სახელმწიფოს მეტ როლზე ეკონომიკის განვითარების პროცესში, გულისხმობენ აქტიურ სახელმწიფო მოდელს — როცა ბიზნესი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას და ერთვება სახელმწიფო, თუმცა საქართველოში სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში, ფაქტობრივად, იგნორირებულია.

ჩვენი ბაზრის სტრუქტურა, ჩვენი კერძო და ეკონომიკური სფერო ორიენტირებულია, არა გრძელვადიან განვითარებაზე, არამედ მოკლევადიან მოგებაზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს, როგორც ერთმა ძლიერმა და ლეგიტიმურმა მოთამაშემ და გააკეთოს ის, რასაც ვერ აკეთებს ბიზნესი, ჩვენ ვერ განვვითარდებით ასეთი ეკონომიკური პოლიტიკით. ჩვენ შეიძლება გვქონდეს მოკლევადიანი ზრდები, თუმცა ეს არ იქნება ქვეყნის ეკონომიკის გარდამტეხი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ასევე მწვავედ დგას სოციალური მიმართულებით, ეს არის გადასახადების საკითხი.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიხედვით, გადასახადები უნდა იყოს მაქსიმალურად მცირე, განსაკუთრებით, ბიზნესზე და ე.წ. მაღალ ფენაზე, იმ დაშვებით, რომ, ასე ვთქვათ, ეს მდიდარი ადამიანები უფრო გამდიდრდებიან და შექმნიან სამუშაო ადგილებს, ანუ სარგებელი უნდა ავიდეს მაქსიმალურ ზღვრამდე და ის მერე თავად დაიწყებს „ჩამოჟონვას“ ქვედა ფენებისკენ.

ეს რეალური დაშვებაა, მაგრამ ქართულ რეალობაში, სააკაშვილის მერე, ქართულ პოლიტიკაში, ასე რომ ვთქვათ, განმტკიცდა ეს მიდგომები გადასახადებთან დაკავშირებით და დღეს საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა მოგების გადასახადის სიმცირით აფრიკულ ქვეყნებთან ერთად.

გადასახადების სიმცირით ჩვენ ვუსწრებთ ფინეთს, გერმანიას, იაპონიას, ყველა სხვა განვითარებულ ქვეყანას.

ჩვენ ვხედავთ, რომ არსებულ პოლიტიკას წლების განმავლობაში არ მოაქვს შედეგი და ამას თავისი მიზეზი აქვს.

**— ანუ რას გულისხმობს ეს პოლიტიკა?**

— პირველ რიგში, მაქსიმალურად ვუმცირებთ გადასახადებს ბიზნესს, რომ მას ჰქონდეს მოტივაციაც და სტიმულიც — შექმნას სამუშაო ადგილები. ამის მიუხედავად, ჩვენ ვხედავთ, რომ სსრკ-ს დანგრევის შემდეგ უმუშევრობა ორნიშნა ციფრს არ გასცდენია. აქ საუბარია ოფიციალურ უმუშევრობაზე. ამას რომ დავუმატოთ არაოფიციალური უმუშევრობა, რომელიც, რეალურად, არსებობს, 12–13% ოფიციალური უმუშევრობა გაიზრდება 40%-მდე.

მოკლედ, არსებული პასიური პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს განვითარებას და ჩვენ ვხედავთ, რომ მცირე გადასახადები ბიზნესისთვის არ არის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა.

ევროპული და ზოგადად, დასავლური პრაქტიკა პროგრესულ საშემოსავლო გადასახადს გულისხმობს.

ეს ნიშნავს იმას, რომ საგადასახადო სისტემა ითვალისწინებს განსხვავებული ეკონომიკური მიდგომების მქონე საზოგადოების წევრების არსებობას, ანუ გადასახადის გადამხდელს გადახდისუნარიანობის მიხედვით — რაც უფრო მაღალია შემოსავალი, პროგრესული გადასახადების მიხედვით, უფრო მაღალი განაკვეთით იბეგრება მეწარმე და მისი საქმიანობა.

ეს სისტემა ევროპულ ქვეყნებში უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოებრივ ფენებს შორის ბალანსის საკითხი რეგულირდება. მაგალითად, შვედეთში, ფინეთში და მსგავსი ტიპის ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ეკონომიკური კეთილდღეობით ყველა სოციალურ ჯგუფში, პრინციპში, დგანან სახელმწიფოს მიერ გადანაწილების მექანიზმებზე — ის, რომ ევროპულ საზოგადოებებში არსებობს მშვიდობა სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის, რაც საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივი ტენდენციაა. ვგულისხმობ იმას, რომ, როცა სახელმწიფო არ ერევა, ჩნდება უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

ეკონომიკური ზრდის შედეგებს დღეს საქართველოში იღებენ მხოლოდ ცალკეული ადამიანები. ჩვენს ქვეყანაში კანონით არის აკრძალული პროგრესული გადასახადების შემოღება და სხვათა შორის, პირველი ვართ მსოფლიოში ამ უაზრო საკანონმდებლო ჩანაწერით.

როცა საუბარია ევროპულ განვითარებაზე, სამწუხაროდ, ივიწყებენ ამ სისტემას, რომელზეც დგას ევროპის ეკონომიკა.

ეს არის რესურსების გადანაწილების ოპტიმალური გზა, რათა ხელი შევუშალოთ სიმდიდრის კონცენტრაციას ერთეულების ხელში.

ეს არის სოციალური პოლიტიკის ხერხემალი, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია, ზოგადად, ემყარება. შესაბამისად, პროგრესული გადასახადების მომხრე გახლავთ ჩვენი პარტიაც — „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“.



**— თორნიკე, როგორც მკვლევარს, მინდა გკითხოთ: საქართველო დამოუკიდებლობის დღიდან ეძებს გზას და დღემდე ვერ იპოვა შესაფერისი ეკონომიკური მოდელი, რატომ აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, როგორშიც ვართ? სოციალ-დემოკრატები მიიჩნევთ, რომ თქვენ იპოვეთ ქვეყნის განვითარების სწორი მიმართულება?**

— როცა ვსაუბრობ ნეოლიბერალურ იდეოლოგიაზე, ის გულისხმობს ზუსტად, რომ არ ჰქონდეს სახელმწიფოს არავითარი ეკონომიკური განვითარების გეგმა და ეკონომიკა განვითარდეს ქაოტურად, ამ თეორიის მიხედვით, ეკონომიკა განვითარდება უფრო სწრაფად და უკეთესად, რაც უფრო დისტანცირებული იქნება მისგან სახელმწიფო. ამ დისტანცირებაში არ იგულისხმება ის, რომ არ იყოს კორუფცია და ა.შ. ამაში იგულისხმება ის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნდეს გეგმა, ჰქონდეს მაქსიმალურად მცირე ინვესტიციები ეკონომიკაში და ა.შ.

90-იანი წლებიდან, ნეოლიბერალურმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა სახელმწიფო ინსტიტუტები და უფრო მეტად გამყარდა სააკაშვილის პერიოდში. ეს გულისხმობდა იმას, რომ სახელმწიფო მთლიანად უნდა ყოფილიყო მინდობილი საბაზრო ძალებზე. კონცეპტუალურად ჰქონდათ ეს ჩამოყალიბებული. მაგალითად, კახა ბენდუქიძის ეკონომიკური მეთოდოლოგია გაიხსენეთ — სახელმწიფომ შეამციროს რეგულაციები, გადასახადები, მოახდინოს სრული პრივატიზაცია და ა.შ. და ამის შემდეგ თავად დაიწყება ეკონომიკური განვითარებაო. სწორედ ეს არის პასიური სახელმწიფოს მოდელი, სადაც სახელმწიფო ერთადერთ რამეს აკეთებს — ეს არის ინფრასტრუქტურის დაფინანსება.

ეს მხოლოდ ქართული ფენომენი არ იყო. ეს არის მსოფლიო ტრენდი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 90-იანების შემდეგ ის, რომ ამ ტიპის პოლიტიკა არ იყო ეფექტური, თვალშისაცემი გახდა და მეტიც, ეს უფრო ნათლად აჩვენა 2008 წლის მსოფლიო კრიზისმა. ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიოში ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გადააზრება.

სამხრეთ კორეა, რომელიც ღარიბი ქვეყანა იყო, გასული საუკუნის 60-იან წლებში შემოიღო არა წმინდა სოციალისტური გეგმარებითი ეკონომიკა, არამედ რადიკალური საბაზრო გეგმარებითი ეკონომიკა, რაც განსხვავდება, ცხადია, სოციალისტური დაგეგმარებისგან, თუმცა მოიცავს მის ძალიან ბევრ ელემენტს. ასევე საფრანგეთი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასევე ხუთწლედური გეგმებით ვითარდებოდა და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებით მიემართებოდა კერძო სექტორს. გამოყოფდა, მაგალითად, ცენტრალურ, ანუ სტრატეგიულ ეკონომიკურ სექტორებს, ახდენდა მის დაფინანსებას და ა.შ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ტიპის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა უარყოფილია საქართველოში 90-იანი წლებიდან. ამის მთავარი მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, არის ის, რომ საქართველოში მთლიანად, პოლიტიკური ელიტა, ასე რომ ვთქვათ, არის მორწმუნე ნეოლიბერალური დოგმების და ამის უკან, ცხადია, დგას კერძო ინტერესები.

**— კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ: ნეოლიბერალური ეკონომიკური მიდგომები სახელმწიფოს როლს უგულებელყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში?!**

— დიახ. სწორედ ასეა. მეტიც ნეოლიბერალური გაგებით, სახელმწიფოს არ შეუძლია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ეკონომიკური განვითარების სტიმულირება შეუძლია მხოლოდ პასიურ სახელმწიფოს, ანუ თუ სახელმწიფო არაფერში არ ჩაერევა, ეკონომიკა თავისით განვითარდებაო.

ეკონომიკა ვითარდება, თუმცა ნელა. საბაზრო ძალებს არ შეუძლიათ სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა, თანაც იზრდება არათანაბრად, ერთეულებისთვის და ვერ მოიცავს საზოგადოების ფართო ფენებს.

**— რესურსების გადანაწილება როგორ ხდება?**

— თუ შევხედავთ საწარმოო ძალებს, მაგალითად, ქართულ ექსპორტში წამყვანი ადგილი უკავია მანქანების რეექსპორტს მინერალებთან ერთად. ჩვენ, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია მაღალტექნო-

ლოგიური წარმოების ექსპორტი. გვაქვს ნედლი მასალის ექსპორტი, რაც ჩვენს ქვეყანას სიღარიბის წრეში კეტავს.

მაგალითად, თხილის წარმოება, მოგეხსენებათ წლების წინ ე.წ. ბუმი იყო თხილის წარმოების. დაიწყო მოსახლეობაში თხილის მასიური წარმოება. მთელი ინვესტიცია წაიღო თხილმა, როგორც ნედლმა მასალამ. თხილი იგზავნებოდა იტალიასა და თურქეთში, სადაც ის მუშავდებოდა მაღალტექნოლოგიური მექანიზმებით, ანუ ნედლი მასალა იქმნება საქართველოში, ხოლო ტექნოლოგიური გადამუშავება, პირობითად ვიტყვი, ხორციელდება იტალიაში, იქვე ხდება მისი ბრენდინგი — შეფუთვა, რეკლამირება, კრეატიული მუშაობა პროდუქტზე, შემდეგ შემოდის საქართველოში და იყიდება.

დაისმება კითხვა: რას ვიგებთ ჩვენ აქედან?!

ჩვენ, რეალურად, ვაწარმოებთ პროდუქტს და ვიღებთ ყველაზე დაბალ შემოსავალს.

თუ სახელმწიფო აქტიური იქნებოდა, შეხედავდა თხილის წარმოებას, როგორც პერსპექტიულ დარგს და განავითარებდა მის წარმოებას ტექნოლოგიურად. თხილს აქვს ის პოტენციალი, რომ მოხდეს საქართველოში საწარმოების შექმნა, რომელიც ექსპორტზე გაუშვებს თხილს, არა როგორც ნედლ მასალას, არამედ, გადამუშავებულ თხილს. ეს განაპირობებს მეტ შემოსავლებს და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

**— ჩვენი ტიპის სახელმწიფოების ეკონომიკურ მოწყობას, რამდენადაც ცნობილია, მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები წყვეტენ, რადგან ეკონომიკური მანიპულირება ქვეყნების პოლიტიკურ მართვასაც გულისხმობს?**

— სწორი მიმართულებით დასმული შეკითხვაა და მოგახსენებთ.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენ კაპიტალისტურ ეკონომიკაში ვცხოვრობთ და აღარ ხდება ეკონომიკის რეგულირება და მართვა სახელმწიფოს მიერ.

საბჭოთა კავშირში ეკონომიკა არ იყო პირდაპირ მოგებაზე ორიენტირებული. ის იყო ნახევრად ზრდაზე და ნახევრად სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული.

საქართველომ კაპიტალისტურ სამყაროში ტრანსფორმაციის პროცესში კარგად ვერ გააცნობიერა, რომ კაპიტალისტური წყობა არ არის ჰარმონიული ურთიერთობის მოდელი, არამედ ეს არის კონკურენციის ულმობელი საზოგადოება.



როცა ვსაუბრობთ ევროკავშირზე და ელიტები წარმოგვიდგენენ, რომ ევროკავშირი არის ჰომოგენური, ჰარმონიული სივრცე, ეს არის დიდი შეცდომა. მცირე ქვეყნებს ძალიან უჭირთ თავის დამკვიდრება საერთაშორისო კონკურენციაში.

სამწუხაროდ, საქართველოში არ მიმდინარეობს სერიოზული დისკუსიები ამ პროცესებისგან მიღებულ მოგებასა და წაგებებზე. ეს აღიქმება ჰარმონიულ ურთიერთობებად, რაც, სინამდვილეში, ასე არ არის. ამ „ჰარმონიული“ ურთიერთობების უკან ყოველთვის დგას დიდი კორპორაციები, რომლებსაც ბაზარზე, რა თქმა უნდა, არ აწყობთ კონკურენტი. ეს უნდა იყოს გაცნობიერებული.

აქ საუბარი არაა იმაზე, რომ ჩვენ ჩვენი გეოპოლიტიკური კურსი უარვყოთ და ა.შ. გავაცნობიეროთ: არც ერთი ქვეყნის და კორპორაციის ინტერესი არ არის, ბაზარზე გაუჩნდეს ახალი კონკურეტი. ეს არის ანაბანა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერც პოლიტიკურმა ელიტამ გააცნობიერა, ვერც ჩვენი ეკონომისტები ხვდებიან ამას და მუდმივად საუბრობენ თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივებზე.

**— ჩვენ ევროპის და ევროკავშირის სრულუფლებიანი ნაწილი ვართ...**

— ნაწილი ვართ, მაგრამ ვართ ისეთი ნაწილი, რომელიც არ შეუძლია კონკურენციაში შესვლა მდიდარ ქვეყნებთან.

ჩვენმა ქვეყანამ გასული საუკუნის ბოლოს ტოტალური დეინდუსტრიალიზაცია განიცადა. არადა, საერთაშორისო ვაჭრობის 80% დღეს საქონლით ვაჭრობაა. თუ ექსპორტი არ აქვს პატარა სახელმწიფოს, ვერ დაიმკვიდრებს თავს დიდ მსოფლიო ეკონომიკურ მოთამაშეებს შორის.

ისტორიული მაგალითები, თუ როგორ მოახერხეს მცირე ქვეყნებმა ეკონომიკური განვითარება,



ერთიანი საშემოსავლო გადასახადი ყველასთვის

პროგრესული საგადასახადო სისტემა

ბევრია და ამას აქვს სხვა პოლიტიკური შინაარსი, მაგრამ დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტა ამით არ ინტერესდება.

საქართველოში დღეს არის ორი დიდი ეკონომიკური სექტორი, რომლებიც სახელმწიფო დონეზეც არის ასახული. ეს არის იმპორტიორთა ფენა, რომელიც იმპორტით არის დაკავებული და მეორე — საბანკო კაპიტალი.

საბანკო კაპიტალი საქართველოში არ არის ქართული კაპიტალი. ის, ძირითადად, უცხოური კაპიტალით არსებობს. ეს და სხვა ტიპის ეკონომიკური კაპიტალი კარნახობს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

უცხოურ კაპიტალს აწყობს თავისუფალი ვაჭრობა და მაქსიმალური ფინანსური ლიბერალიზაცია.

ჩვენი ეკონომიკის ამ ორ დიდ სექტორს, ასევე აწყობს ეკონომიკური პოლიტიკის სტატუს-ქვო, რომ გაგრძელდეს საქართველოში ასეთი ტიპის ეკონომიკური მოწყობა.

თუ არ გავაცნობიერეთ, რომ ეკონომიკაში არსებობენ აგენტები, იგივე ეკონომიკური მოთამაშეები, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ინტერესები, რაც, საბოლოო ჯამში, კონცენტრირდება პოლიტიკად და განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგს, ვერ მივხვდებით, თუ რატომ არ ვვითარდებით.

კაპიტალი მოძრაობს იქეთკენ, სადაც ხარჯები დაბალია. საქართველოში რადგან ხარჯები დაბალია, გადასახადები მცირეა და სამუშაო ძალა იაფია, უნდა შემოვიდეს დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალი. შემოდის ეს კაპიტალი, თუმცა ისე, რომ გრძელვადიანი მოგების მოტანა მას არ შეუძლია.

აქ უნდა გამოიკვეთოს სწორედ სახელმწიფოს როლი, როგორც უცხოური ინვესტიციების მარეგულირებლის.

საქართველო დღეს იმყოფება პერიფერიულ, ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, ვიყოთ თუნდაც, მეტ-ნაკლებად სერიოზული მოთამაშეები და ვეგუებით არსებულ სტატუს-ქვოს. ამას ხელს უწყობს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტაც.

**— რატომ არ ეძებს გამოსავლის გზებს ჩვენი ქვეყანა?**

— გაბატონებული ნეოლიბერალური იდეოლოგია განაპირობებს ამას, ამასთანავე, დღევანდელი მედიასივრცე მთლიანად არის კორპორაციული და ხელს უწყობს არსებულ სტატუს-ქვოს.

არ არსებობს პირდაპირი ცენზურა, თუმცა არსებობს იდეოლოგიური ფილტრი, რომელიც, რაზეც ვისაუბრეთ, იმგვარი ტიპის აზრის საჯარო სივრცეში გაჟღერებას ბლოკავს.



ჩვენი მედიასივრცე ეკონომიკის კუთხით, მიმართულია იქითკენ, რომ, თითქოს, ქვეყანას საბაზრო ეკონომიკა განავითარებდეს. ნებისმიერ ეკონომიკურ დისკუსიას დააკვირდით მედიაში და ნახავთ, რომ საუბარი სწორედ ამ კუთხით მიმდინარეობს, რომ სახელმწიფო ცუდია და ბაზარი — მომგებიანი. მედია ემსახურება ამ ერთი ტიპის აზრს და ეჯიბრება ერთმანეთს, ვინ უფრო ხმამაღლა გაატარებს ამ აზრს.

**— რას გეგმავს ამ ვითარებაში „სოციალ-დემოკრატიული“ პარტია. როგორ აპირებთ ამ წრის გარღვევას?**

— პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს იდეოლოგია მუშაობს დამღუპველად. ამ დღის წესრიგით საზოგადოება ვერ იღებს ვერანაირ ეკონომიკურ სარგებელს და ბაზა, რომელზეც სოციალ-დემოკრატიული იდეები უნდა დაფუძნდეს, არის დღევანდელი სისტემის დემონტაჟი.

როგორ უნდა იყოს ტაქტიკა?

უნდა მიმდინარეობდეს მოსახლეობასთან პირდაპირი დიალოგი.

დღეს საქართველოში არის პოლიტიზირებული საზოგადოება, თუმცა არ არსებობს პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონე და გამოცდილება, რაც გულისხმობს მტრის იდენტიფიკაციას და შემდეგ მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩვენ არ გვაქვს დიდი კაპიტალის იმედები, ჩვენი მხარდამჭერი ვერ იქნება მსხვილი კაპიტალი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენი მხარდამჭერი უნდა იყოს და ვიმედოვნებთ, რომ იქნება მშრომელი ხალხი, ურბანული ქალაქების ინტელიგენცია და ა.შ.

ჩვენი შეხედულებები არის არა ერთეულებისთვის, არამედ ყველასთვის და სწორედ ამიტომ არ ვეძებთ დიდ კაპიტალს. ჩვენ ვეძებთ სისტემის მიერ გარიყული საზოგადოების ნაწილს. და ჩვენ გვაქვს იმედი, თუ ვიქნებით წარმომადგენლობითი სახით საკანონმდებლო ორგანოში, ჩვენ შევძლებთ ხალხის, საზოგადოების ლეგიტიმაციას და ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესებში, რაც უფრო მეტია, ვიდრე დიდძალი კაპიტალი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# გიგია თუ ცოტნე თავდადებული?

ბიუჯეტის ვირთხა კი არა, გიგი უგულავა ნამდვილი ცოტნე დადიანია.

— ციხეში რომ ვზივარ, ეს ჩემი შეგნებული არჩევანია. თქვენ მაგაზე არ იდარდოთ, ბოლომდე მიაწექითო, — შემოუთვალა თავის ლაშქარს „მონღოლთა“ მიერ დატყვევებულმა გიგი-ცოტნემ და ტანზევით კარაქწასმული (თაფლი ვერ იშოვეს) მატროსოვის ციხის ალაყაფთან დაჯდა პროტესტის ნიშნად.



ოპოზიცია რომ გაჰყვიროდა: — უგულავა პოლიტიკურზე დაიჭირეს, უგულავა პოლიტპატიმარიაო, სულ ტყუილი ყოფილა — უგულავა თურმე არავის დაუჭერია, მას თვითონ მოუსურვებია ციხეში ჩამჯდარიყო — აგერ თავისი პირით თქვა, ჩემი შეგნებული არჩევანი იყოო.

შეგნებული კაცია უგულავა და იმიტომ გააკეთა ეს. 50 მილიონს რომ შეჭამ, თუ სინდისი გაქვს, ცოტა ხანს ხომ უნდა ჩაჯდე საკუთარი ინიციატივით?

აბა, ხელისუფლების იმედზე თუ იქნები, შეიძლება საერთოდ არ დაგიჭირონ.

ჩვენთან ხომ ასეა — 50 ლარის მომპარავი ქურდია, 50 მილიონის მომპარავი — პოლიტპატიმარი.

ამ ნიშნით, პოლიტპატიმარია ირაკლი ოქრუაშვილი, მომავალი პოლიტპატიმრები არიან ბოკერია, კეზერაშვილი, ბაქრაძე, ნიკუტა გვარამია და თვით მიშა სააკაშვილიც.

პოტენციური „პოლიტპატიმრების“ საკმაოდ გრძელი სია პროკურატურაში ინახება საიმედო ადგილას და ცოცხალი თავით არ აჩენენ.

— ზუსტად ვიცით, ვინ რამდენი მოიპარა, მაგრამ ყველა რომ დავიჭიროთ, მაშინ პარლამენტისთვის მავთულხლართების შემოვლება დაგვჭირდებოდაო, — განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა“ წარმომადგენელმა.

უნამუსოები ეგენი! („ნაცებზე“ და „ევრონაცებზე“ ვამბობ) – რას ელოდები, ხომ ხედავ, არ გიჭერენ, გააკეთე შეგნებული არჩევანი და მიუჯექი გიგის გვერდით.

# მიახლოება პროპორციულთან ანუ კიდევ უფრო ახლოს „ნაცებთან“ და „ევრონაცებთან“

პროპორციულთან რაც შეიძლება უფრო მეტად მიახლოებული გვინდაო, — აიხირა ოპოზიციამ, თუმცა ხელისუფლებამ თავის დროზე საკადრისი პასუხი ვერ გასცა არითმეტიკის ცუდად მცოდნე ოპოზიციონერებს: 100–50-ზე პროპორციულთან უფრო მიახლოებული არ არის — 100 ხომ ორჯერ მეტია 50-ზე? 110-ი ხომ თითქმის სამჯერ მეტია 40-ზე? უფრო მეტი მიახლოებული რაღა გინდათ, თქვე ინტრიგანებოო?

ამ მარტივ, მეორეკლასელებისთვისაც კი კარგად ცნობილი არითმეტიკას, პოზიცია-ოპოზიციას შორის შუამავლებად ჩაფენილი ელჩებიც ვერ მიხვდნენ და ოპოზიცია დემაგოგიასა და აფერისტობაში ვერ ამხილეს.

საბოლოოდ, მხარეები, როგორც იქნა შეთანხმდნენ — 120 დეპუტატი პროპორციული სისტემით აირჩევა, 30 დეპუტატი — მაჟორიტარული წესით.

გვეშველა! გადავრჩით! არჩევნები ჩატარდება!

არჩევნები კი ჩატარდება, მაგრამ არავინ იცის, ხმების რა რაოდენობას მიიღებენ ოპოზიციონერები ანუ „ნაცები“ და „ევრონაცები“.

დიდი ალბათობით, ისინი ვერც ამჯერად გაიმარჯვებენ, რის შემდეგაც დიდი წიოკობა და ალიაქოთი დაიწყება: არჩევნები გააყალბეს! ამომრჩევლები მოისყიდეს, თორემ ჩვენ, ასეთ წესიერებს, ასეთ პატრიოტებს, ქვეყნისთვის ასეთ თავდადებულებს, მთელი საქართველო გვაძლევდა ხმასო.

მოკლედ არჩევნების შემდეგ ნაცების და ევრონაცების მხრიდან ძალადობის, ზეწოლის, შანტაჟის და პროვოკაციების ახალი სერია დაიწყება.

არ მოსვენებენ ესენი, არა, სანამ რაღაც შარში არ გაგვხვევენ.

ამიტომ შემომაქვს წინადადება: გამოვყოთ 40–50 ადგილი ნაცებისთვის, ევრონაცებისთვის, ლეიბორისტებისთვის, ბურჯანაძის პარტიისთვის და ეს ადგილები „კონკურსგარეშე“, ანუ არჩევნების გარეშე სამუდამო მფლობელობაში გადავცეთ.

ჯერ ესენი იქნებიან — მიშა, გრიშა, ნინო, შალვა, დავითი, ლევანი, გიორგი, ზურაბი და ა.შ. შემდეგ მათი შვილები: ედუჩიკო, ზუკიკო, ანზორიკო, ლიკაკო, ნინიკო, ვაჟიკო და ა.შ. მერე შვილიშვილების ჯერი დადგება, მერე შვილთაშვილების და ასე გაგრძელდება სამუდამოდ და სამარადისოდ.

კარგი იქნება თუ მათთვის პარლამენტის სხდომათა დარბაზში ვოლიერის მსგავს ცალკე კუთხეს შემოვღობავთ. ისხდნენ იქ და იყვნენ თავისთვის.

ესენიც დაისვენებენ, ჩვენც დავისვენებთ და საქართველოც მოითქვამს სულს.

ქვეყნის წინსვლა და განვითარება თუ გვინდა, ეგრე უნდა მოვიქცეთ, თუ არადა, ვიყოთ მუდმივ დაკადაკასა და ჯიკავ-ჯიკავში.





# „გაიტანეთ გრენლანდია“

რუსებმა ლენინი ვერ გაიტანეს მავზოლეუმიდან, ჩვენ ბენდუქიძის მავნებლური იდეები ვერ გავიტანეთ საქართველოდან.

ვერ გავიტანეთ კი არა, ეს იდეები „ნაცმოძრაობის“ კრემატორიუმიდან პირდაპირ, ხელუხლებლად გადმოვასვენეთ ახალი ხელისუფლების ლაბორატორიებში, დღემდე ამ იდეებით ვხელმძღვანელობთ და ამ იდეებით ვმართავთ ქვეყანას.

მართალია, ნაცმოძრაობაზე უარი ვთქვით, მაგრამ იმ ქვაკუთხედზე, რაზეც ნაცმოძრაობა იდგა, უარი არ გვითქვამს.

წინასწარ ვიხდი ბოდიშს იმის გამო, რაც ახლა უნდა ვთქვა: სამწუხაროდ, ჩვენი ამომრჩევლების 70–80%-ი ტყემალზე ზის და იქიდან ბლის კურკებს ისვრის, ანუ საერთოდ არ არის აზრზე, ვის ირჩევს და რატომ ირჩევს, რა იდეებს, რა კონცეფციას უჭერს მხარს.

აბა, ერთი კითხეთ: ვთქვათ და, „ნაცმოძრაობის“ ერთგულ მხარდამჭერებს, რომლებიც 2003 წლიდან 17 წელია სტაბილურად აძლევენ ხმას მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობას“, რა მოსწონთ ამ პარტიის პროგრამაში, რა იდეები ხიბლავთ ასე ძალიან?

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერ გეტყვიან.

არა მარტო „ნაცმოძრაობის“, არამედ სხვა პარტიების ამომრჩევლებმაც თითქმის არაფერი იციან თავიანთი ფავორიტების შესახებ.

ქართველი ამომრჩეველი გაცნობიერებულად კი არ აკეთებს არჩევანს, „რულეტკას“ თამაშობს, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, მისთვის ტრაგიკულად მთავრდება.

ბენდუქიძის სახელი საქართველოს მოსახლეობაში მის ერთ „ფრთიან“ ფრაზასთან არის გაიგივებული: იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა.

არადა, ბენდუქიძის იდეები სახელმწიფოს მართვის მთელ სისტემას მოიცავს და თავიდან ბოლომდე ეყრდნობა ნეოლიბერალურ იდეოლოგიას, ეს იდეოლოგია კი ერთადერთ მიზანს ემსახურება: როგორ უნდა გამდიდრდნენ მდიდრები კიდევ უფრო მეტად, რაც ავტომატურად იწვევს ღარიბების კიდევ უფრო გაღარიბებას.

ნაცები ბოლო დროს ხშირად აძლევენ რეკომენდაციას „ქართულ ოცნებას“, დასწიონ გადასახადები, რაც გაუცნობიერებელი და არაინფორმირებული ადამიანების თვალში შეიძლება მოსახლეობაზე ზრუნვად იქნას მიჩნეული.

განსაკუთრებით აქტიურობს „დიდი“ ფინასისტი, ალ კუპონედ წოდებული რომან გოცირიძე, რომელიც ფინანსისტი კი არა აფერისტია.

მოდით, გავშიფროთ, რას ნიშნავს გოცირიძე-აფერისტის მიერ შემოთავაზებული გადასახადების შემცირების იდეა.



ვთქვათ, 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი დავიყვანეთ, 10%-მდე.

ამ შემთხვევაში, ის, ვისაც 500 ლარი აქვს ხელფასი, 100 ლარის ნაცვლად გადაიხდის 50 ლარს, ხოლო ვისაც 10 000 ლარი აქვს შემოსავალი, 2000-ის ნაცვლად გადაიხდის 1000 ლარს, ანუ ამ ინიციატივით, ის 20-ჯერ (!) უფრო მეტს ხეირობს, ვიდრე 500 ლარიანი ხელფასის მქონე პირი.

ამ უბრალო მაგალითითაც ხომ ცხადზე ცხადია სინამდვილეში, ვისზე „ზრუნავს“ მშრომელთა ბედით „გულშეძრული“ „ნაცმოძრაობა“ და მისი თუთიყუში გოცირიძე.

ასე რომ, დროზე გაიტანეთ „გრენლანდია-ბენდუქიძე“ და მასთან ერთად „ნაცმოძრაობა“, თორემ თავდაღმართზე დაქანებულ ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

**საერთო გაზეთი**

# „იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ ტრამპი მეორე ვადითაც გახდება პრეზიდენტი“





საპრეზიდენტო არჩევნებამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში შვიდ თვეზე ოდნავ მეტი დროა დარჩენილი. წინასაარჩევნო ციებცხელება ახალ ფაზაში გადავიდა. პოლიტოლოგები უცნაურ ფაქტად მიიჩნევენ პარტიებში შინაურ დაპირისპირებას. პოლიტიკური ვითარება გამწვავდა არამხოლოდ რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის. უთანხმოება, განსაკუთრებით დემოკრატიულ პარტიაში შეინიშნება. სერიოზული ნაპრალი პრეზიდენტ დონალდ ტრამპისთვის გამოცხადებული იმპიჩმენტის ჩავარდნის შემდეგ გაღრმავდა. ექსპერტების შეფასებით, არსებული სიტუაცია დიდ დარტყმას




აყენებს აშშ-ის პოლიტიკურ იმიჯს.

დემოკრატებმა მთელი პარტიული ძალები დონალდ ტრამპის წინააღმდეგ მიმართეს. ამაზე მეტყველებს კონგრესის სპიკერის ნენსი პელოსის გამონათქვამი: „...წარმოდგენაც არ მინდა, რომ ტრამპი მეორე ვადითაც გახდება პრეზიდენტი“. სავარაუდოდ ამიტომაც, დემოკრატებს დღემდე არ ჰყავთ გამოკვეთილი კანდიდატი, რომელიც ღირსეულად დაუპირისპირდება საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპს. პირველ პრაიმერში პოლიტიკურ წრეებში ნაკლებად ცნობილი პიტ ბუტიჯიჯი დაწინაურდა, თუმცა დროებითი აღმოჩნდა მისი ლიდერობა.

მოვლენები რადიკალურად გასულ კვირას შეიცვალა. „სუპერ სამშაბათად“ ცნობილ პრაიმერში, ყველასთვის მოულოდნელად ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი დაწინაურდა. 14 შტატში გამართულ გამოკითხვებში ბაიდენმა 8-ში გაიმარჯვა, რითიც მცირედით გადაასწრო სენატორ ბერნი სანდერსს. წყალში გადაყრილი გამოდგა მილიარდერ მაიკლ ბლუმბერგის სარეკლამო კამპანიაში დახარჯული 500 მილიონზე მეტი დოლარი. შედეგებიდან გამომდინარე, იგი იძულებული გახდა ჩამოსცილდეს საარჩევნო მარათონს. სამაგიეროდ, მიღებული ხმები ჯო ბაიდენს გადასცა, ისევე როგორც პიტ ბუტიდჯიჩმა. არჩევნებს გამოეთიშა ასევე სენატორი ელიზაბეტ უორენი, მაგრამ თავისი ხმები მან ბერნი სანდერსის სასარგებლოდ გამოაცხადა.

მაიკლ ბლუმბერგის არჩევნებიდან გამოთიშვა მოულოდნელი არ ყოფილა. ერთ-ერთ ტელედებატებში ელიზაბეტ უორენმა პირდაპირ უთხრა: „...ერთი მილიარდერი უკვე გვყავს ქვეყნის პრეზიდენტი, მეორე აღარ გვინდა“. მდიდრების კასტას არც ბერნი სანდერსი წყალობს. „...მათ უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში ჩვენ გვაქვს დემოკრატია და არა ოლიგარქია“ — განაცხადა ამომრჩევლებთან შეხვედრისას. ამის გარდა, ბლუმბერგი პირდაპირ დაადანაშაულა ამომრჩევლის მოსყიდვაში.

„სუპერ სამშაბათის“ შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის ბრძოლას ჯო ბაიდენი და ბერნი სანდერსი გააგრძელებენ. ამერიკელი პოლიტოლოგების განცხადებით, დემოკრატები დონალდ ტრამპთან ერთად ბერნი სანდერსაც ებრძვიან და მისი „ჩაძირვა“ სურთ. იხსენებენ 2016 წელს, როდესაც ჰილარი კლინტონის სასარგებლოდ ჩამოაცილეს სანდერსი არჩევნებს. ახლაც დაიწყეს მის წინააღმდეგ „შავი პიარის“ აგორება. დემოკრატებს ახალი არაფერი გამოუგონიათ სანდერსს რუსეთთან კავშირს აბრალებენ, რაც თავად დონალდ ტრამპს არარეალურად მიაჩნია. „...სანდერსის რუსეთთან დაკავშირებით მის თანაპარტიელებს სურთ წაართვან არჩევნებში მონაწილეობის საშუალება“ — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

სპეცპროკურორ მიულერის საგამოძიებო ჯგუფის უშედეგო მუშაობის შემდეგ, რუსეთის კვალის ძებნა პირველ რიგში დონალდ ტრამპის სასარგებლოდ მუშაობს. თუმცა, ბერნი სანდერსი თანაპარტიელთა შეტევის ობიექტი თავისი შეხედულებების გამო გახდა, იგი სოციალურ თანასწორობის მომხრეა. „...დღეს, აშშ-ის მოსახლეობის თითქმის 87% სამედიცინო დაზღვევაც არ აქვს, ხელი არ მიუწვდებათ განათლებაზე. არსებული ეკონომიკა მუშაობს მდიდრებზე, მილიარდერებზე, როგორიც ბლიუმბერგია. ჩვეულებრივი ხალხი კი გაჭირვებაშია“ — განაცხადა ბერნი სანდერსმა სატელევიზიო გამოსვლაში.

შეტევების მიუხედავად ბერნი სანდერსი დანებებას არ აპირებს და აგრძელებს ბრძოლას. მას თავისი მხარდამჭერების — ახალგაზრდების, საშუალო და დაბალი ფენის მოსახლეობის იმედი აქვს, ამიტომაც იმედიანად აცხადებს, რომ „დაამარცხებს ყველაზე საშინელ პრეზიდენტს“. პოლიტოლოგები ყურადღებას კანდიდატების ასაკზეც ამახვილებენ. ბერნი სანდერსი 78 წლისაა, ჯო ბაიდენი 77-ის, მაიკლ ბლუმბერგი 78. მათთან შედარებით დონალდ ტრამპი ახალგაზრდაა, „მხოლოდ“, 72 წლის. მიმომხილველების ინფორმაციით, ბერნი სანდერსმა შარშან გულის შეტევის გამო იმკურნალა. ამერიკელი ჟურნალისტები პირდაპირ ამბობენ, ჯო ბაიდენს მახსოვრობის პრობლემა აქვს. მათივე ინფორმაციით, მხარდამჭერებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე თურმე ისიც დაავიწყდა, რომელ არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას — სენატის თუ საპრეზიდენტო. „სუპერ სამშაბათის“ პრაიმერის დასრულების შემდეგ, გასულ კვირას ამომრჩევლების წინაშე სცენაზე მეუღლესთან და უმცროს დასთან ერთად გამოვიდა. მსოფლიომ ტელევიზიით ნახა, რომ ბაიდენს ცოლი დაში შეეშალა... ისე, ვისაც ახსოვს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს შემადგენლობა მსგავსებას უთუოდ იპოვის.

კორონავირუსმა დონალდ ტრამპის მომხრეებიც შეაშფოთა. პრეზიდენტი გასულ კვირას მხარდამჭერებს ხვდებოდა. ღონისძიებას ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსიც ესწრებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი პიროვნება კორონავირუსით იყო დაავადებული. ცნობამ პანიკა გამოიწვია. მოგვიანებით, ტრამპის საარჩევნო შტაბში განაცხადეს, რომ ვირუსით დაავადებული იმ დარბაზში არ იმყოფებოდა, სადაც პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი გამოდიოდნენ. თავად დონალდ ტრამპმა მომხდარი არაფრად ჩააგდო და განაცხადა: „... კორონავირუსი ვერ შეგვაშინებს, მუშაობა უნდა გავაგრძელოთ“. ვინ იქნება მისი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში ზუსტად ზაფხულში გახდება ცნობილი. მანამდე კი აშშ-ი კიდევ ერთი „სუპერ სამშაბათი“ გაიმართება.

მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოება ელოდებოდა, თუ როგორ გადაწყდებოდა რუსეთ-თურქეთის სირიაში განვითარებული მწვავე ვითარება. თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის რამდენიმე სატელეფონო საუბარმა რუს კოლეგა ვლადიმირ პუტინთან შედეგი არ გამოიღო. მათი საუბრების თემები არ გასაჯაროებულა, მაგრამ ერდოღანი სულ უფრო მწვავე განცხადებებს აკეთებდა. ევროპის ქვეყნებს მიგრანტებისთვის საზღვრის გახსნით დაემუქრა, თუმცა მათ შესაკავებლად ევროკავშირისგან უკვე მიღებული აქვს 3 მილიარდი ევრო. რუსეთ-თურქეთის ჯარების პირისპირ შეჯახება სულ უფრო რეალური გახდა. თურქეთის პარლამენტში ოპოზიციამ გასულ კვირას, ერდოღანი სირიაში არასწორი პოლიტიკის გამო გააკრიტიკა, რასაც საკანონმდებლო ორგანოში ხელჩართული მასობრივი ჩხუბი მოჰყვა.

ვითარების გასამუხტავად ჯერ კიდევ ორი კვირის წინ დაიგეგმა საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთისა და თურქეთის პირველი პირების სამიტი. შეხვედრის ადგილი სტამბული დასახელდა. გასულ კვირის გადაწყდა, რომ ერდოღანი მოსკოვში ჩავიდოდა პუტინთან პირისპირ შესახვედრად. ევროპელების განსაკუთრებული ყურადღება შეხვედრისადმი დიდი იყო. ერდოღანის მოსკოვში ჩასვლამდე პუტინს ტელეფონით დაუკავშირდა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საჭიროების შემთხვევაში მოლაპარაკებაში ჩართვის მზადყოფნა გამოთქვა.



მოსკოვში ერდოღანი გასულ ხუთშაბათს აღგზნებული და ყველა მოკავშირეზე განაწყენებული ჩავიდა. შეხვედრის დაწყებამდე პუტინმა მიღებულზე მეტხანს ალოდინა ერდოღანი. კრემლში მოლაპარაკება მძიმე და ხანგრძლივი იყო, რომელიც 6 საათზე მეტხანს გაგრძელდა. აქედან ნახევარზე ცოტა მეტი ერდოღანი და პუტინი პირისპირ საუბრობდნენ. ბოლომდე უცნობი იყო გაიმართებოდა თუ არა მოლაპარაკების შემდეგ ერთობლივი ბრიფინგი. შეხვედრაში ორივე ქვეყნის თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობდნენ.

ბრიფინგი გაიმართა, მაგრამ ჟურნალისტებს კითხვების დასმის საშუალება არ ჰქონდათ. აშკარად ჩანდა, რომ ერდოღანი ტრადიციულად მხნედ არ გამოიყურებოდა, დაღლილი და თითქოს მოტეხილადაც გამოიყურებოდა. საინტერესოა, რომ ერდოღანმა პუტინს ტრადიციულად მეგობარი უწოდა. შედგა შეთანხმება — ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, თურეთის მხარე გაანეიტრალებს ყველა ტერორისტულ დაჯგუფებას და სირიაში განახლდება რუსეთ-თურქეთის ერთობლივი პატრულირება. შეთანხმების შედეგები არ მოეწონათ რადიკალურ დაჯგუფების წევრებს. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით მხარეებმა შეწყვიტეს საბრძოლო მოქმედებები. ექსპერტების ნაწილი აღნიშნულ შეთანხმებას ხანმოკლე ზავად მიიჩნევს. თუმცა ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

ამასობაში კი თურქეთში მყოფი მიგრანტები საბერძნეთის საზღვარს მიაწყდნენ და ცდილობენ ევროკავშირის ქვეყნებში გადასვლას. ბერძენი მესაზღვრეები ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ მათ შეკავებას. გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთის მხარე არ აპირებს რაიმე ქმედით ზომების მიღებას მათ შესაკავებლად. როგორც იუწყებიან პირიქით აქეზებენ მათ ევროპისკენ მსვლელობას. ვფიქრობთ, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მეზობელ ქვეყანაში არსებული ვითარება, რადგან გამორიცხული არ არის მიგრანტების საქართველოსკენ გადმოსროლა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# დედამიწას უჩინარი დამპყრობელი შემოესია

ორ თვეზე მეტია რაც, პლანეტა დედამიწაზე კორონავირუსი ყველა ენაზე, ყველა ბრუნვაში ტრიალებს. თუმცა ჯერჯერობით „კორონამ“ მთელ მსოფლიო სერიოზული გამოწვევის წინ დააყენა და არცთუ სასურველ რელსებზე გადაიყვანა, მისი იდუმალი ხელი ყველას და ყველაფერს შეეხო. პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, სპორტს, ჯანდაცვას, ტურიზმს... კორონას შიშმა ყველა და ყველაფერი მოიცვა. ხელოვნურად შექმნილმა თუ ღვთის რისხვის შედეგად მოვლენილმა, წყვდიადის რაშზე ამხედრებულმა ვირუსმა, კიდევ ერთხელ შეახსენა დედამიწელებს, რომ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ბუნებასთან დაცილება და ადამიანის არსის დაკარგვა სიკვდილს ვერ ამარცხებს. კორონას მიერ დაპყრობილ თუ დასაპყრობ სახელმწიფოებში დღეს, აკრძალვების და ნაირ-ნაირი სანქციების ბუმია. იძულებით კარანტინშია მილიონობით ადამიანი. დაუმორჩილებლობა კანონით ისჯება.



ჩრდილოეთ კორეაში „კანონდამრღვევი“ ჩინოსანი სიკვდილით დასაჯეს. „უეფა“-მ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით ფეხბურთელებს ხელის ჩამორთმევა აუკრძალა... ფაქტია, რომ კორონამ თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო. „ევროკავშირში მომავალ კვირეებში კორონავირუსის აფეთქებაა მოსალოდნელიო“, – განაცხადა ევროკავშირის კომისარმა ჯანდაცვის სფეროში სტელა კირიაკიდესმა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჯანდაცვის მინისტრების სხდომაზე. მისი თქმით, „ეს დიდი გამოცდა იქნება ჩვენი ჯანდაცვის სისტემისთვის“. კომისარმა ასევე განაცხადა, რომ ევროკომისიამ სასწრაფოდ გამოყო 37 მილიონი ევრო კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შესაქმნელად. მანამდეც ასეულობით მილიონი დოლარი თუ ევრო გამოიყო, მაგრამ ვირუსი რატომღაც უფრო გამრავლდა. მსოფლიო მასშტაბით, კორონავირუს, 3 646 ადამიანი ემსხვერპლა, 60 637 კი ვირუსისგან განიკურნა. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში, ამ დროისთვის, ახალი ტიპის კორონავირუსით, 107 353 ადამიანია დაინფიცირებული. ჩინეთის კონტინენტურ ნაწილში ვირუსი 80 000-ზე მეტ ადამიანს აქვს დადასტურებული. იანვრის შემდეგ, ჩინეთში ვირუსით დაინფიცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა. ჩინეთის შემდეგ, ვირუსით დაინფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სამხრეთ კორეაში, ირანსა და იტალიაში. იტალიის ლომბარდიის რეგიონში და 14 პროვინციაში, 16 მილიონი ადამიანი კარანტინში აპრილამდე დარჩება. ახალი ტიპის კორონავირუსით დაინფიცირების პირველი შემთხვევები გამოვლინდა ბანგლადეშში, კოსტა რიკაში, კოლუმბიაში, პერუში, ტოგოში, სლოვაკიაში, მოლდოვაში, ბულგარეთში და პარაგვაიში. რობერტ კოხის სახელობის ინსტიტუტის მონაცემებით ჩრდილოეთ გერმანიაში რეგისტრირებულია 639 შემთხვევა. ირანში ვირუსმა ოცდათერთმეტი პროვინცია მოიცვა. შვიდიდან რვა მარტამდე ორმოცდაცხრა ადამიანი გარდაიცვალა. სულ 6566 დადასტურებული შემთხვევა,196 გარდაცვლილი. ნიუიორკის შტატის გუბერნატორმა ენდრიუ კუომომ კორონავირუსის გავრცელების გამო შტატის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა შემოიღო... პეკინისა და შანხაის უნივერსიტეტების მკვლევარებმა, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტებთან ერთად, კორონავირუსის 103 ნიმუშის შესწავლისას დაადგინეს, რომ მან მუტაცია განიცადა და ორ სხვადასხვა შტამად ჩამოყალიბდა. მეცნიერებმა მათ პირობითად S და L უწოდეს. L ტიპის ვირუსით გამოწვეული დაავადება ბევრად მწვავედ მიმდინარეობს და მეტად გავრცელებულია. ვარაუდობენ, რომ ეპიდემიის დასაწყისში ჩინეთის ქალაქ უხანში კორონავირუსის სწორედ ეს სახეობა მძვინვარებდა. ის პაციენტთა სამოცდაათ პროცენტს დაუდგინდა, თუმცა, იანვრის დასაწყისიდან ამ შტამის ვირუსით ინფიცირების შემთხვევებმა იკლო. S ტიპის ვირუსი ნაკლებად აგრესიული, მაგრამ მეტი ლეტალური შედეგით გამოირჩევა.ის დაავადებულთა მხოლოდ ოცდაათ პროცენტშია გამოვლენილი, თუმცა, ბოლო დროს მისი გავრცელების ტემპმა საგრძნობლად მოიმატა. სპეციალისტები ამას დაავადების უსიმპტომო მიმდინარეობით ხსნიან, რის გამოც პაციენტები სამედიცინო დაწესებულებებს გვიან აკითხავენ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ადამიანებში სწორედ S შტამის ვირუსი გავრცელდა. კორონავირუსის მუტაციამ პაციენტების განკურნება, შესაძლოა, დროში გაწელოს და გაართულოს. მეცნიერები საკითხის შემდგომი კვლევის საჭიროებაზე საუბრობენ და იმედოვნებენ, რომ ამაში მათ გენეტიკური, ეპიდემიოლოგიური და კლინიკური მონაცემების ერთად შეკრება და ანალიზი დაეხმარებათ. ამ დროისთვის ცნობილია, რომ ორივე შტამს სიკვდილიანობის მაჩვენებელი ახასიათებს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კორონავირუსმა შესაძლოა გამოვლენის გარეშე, ადამიანის ორგანიზმში ძალიან ხანგრძლივი დროით იცხოვროს და შემდეგ მუტაცია განიცადოს. მაიკლ რაიანის განცხადებით-ფუჭი ოცნებაა, რომ კორონა ვირუსი ზაფხულში გაქრება. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ვირუსს და არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ის უბრალოდ ჩაივლის. მოკლედ, კორონა ვირუსმა სამყარო თავდაყირა დააყენა და ზუსტი პროგნოზი, როდის გაანთავისუფლებს დაპყრობილ დედამიწას თავის მარწუხებისგან არავინ იცის...აღსანიშნავია, რომ შვიდ მარტს უხანის საავადმყოფოდან ცამეტ დღიანი მკურნალობის შემდეგ გაეწერა ასი წლის მამაკაცი. ასე რომ ხანშიშესულ ინფიცირებულებსაც ჰქონიათ გადარჩენის შანსი. ასევე გამოჯანმრთელდა და საავადმყოფოდან გაეწერა რუსეთში პირველი დავირუსებული გოგონაც რომელიც მოგზაურობიდან დაბრუნებული პირდაპირ ინფექციურ საავადმყოფოში მოხვდა...ჩვენი ქვეყნისთვის მართალია ცამეტი დაინფიცირებული ცოტა არ არის, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენს სამშობლოს იმდენი ჭირ-ვარამი და ჟამიანობა გადაუტანია კორონასაც გადაიტანს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩენილი „ისპანკას“ გავრცელების კოეფიციენტი, ბევრად ნაკლები იყო ვიდრე კორონა ვირუსი დღეს. თუმცა ორმოცდაათ მილიონზე მეტი სიცოცხლე შეიწირა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში, საქართველოც პანდემიის რისკის ზონაში შედიოდა, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შედეგად მსხვერპლის რიცხვი ბევრად დაბალი იყო, ვიდრე თუნდაც მეზობელ ქვეყნებში. „ისპანკა“ არ იყო საფრთხის შემცველი ერთადერთი სენი, ამას ემატებოდა ქოლერა, ტიფი, დეზინტერია და სხვა ათასი სახადი, რომელიც თბილისის არასახარბიელო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გამო ეპიდემიებისა და ინფექციების გავრცელების მიზეზი ხდებოდა. „ვგონებ შაჰ-აბასის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გაჩენამ: ხოლერა სიკვდილის მომასწავებელია და ჩვენ ხომ სიცოცხლის მეტის-მეტად მოყვარული ვართ და ანკი რას არ ავკაყაგნებდა“, – ასე იწყება ვაჟა-ფშაველას ვრცელი წერილი „ფიქრები – ხოლერის გამო“, რომელიც 1892 წელს გაზეთ“ივერია”-ში გამოქვეყნდა. „აბა, გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა, კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარს საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. ამ ხოლერას ვერ უპოვეს ვერსაიდან წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა, ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავსთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა 2 ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადაჰრჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს“. სამწუხაროდ დღესაც, ჩვენს ქვეყანას კორონაზე, ხოლერაზე, შავ ჭირზე უარესი ვირუსი ყავს მოსაშორებელი და არც ვაქცინა არსებობს მათ წინააღმდეგ და არც სხვა რამ საშუალება, რომ ჩვიდმეტწლიანი „სახადი“ მოგვაშოროს. პირიქით, ხელისუფლება მოუშორებელ ვირუსს „შეპყრობილი“ ყავს და მუტირებული ვირუსიც მშვიდად, თბილად განაგრძობს არსებობას...დიახ, საქართველო ყოველთვის იყო და იქნება ღვთის მფარველობის ქვეშ. სხვა შემთხვევაში ვერ იარსებებდა. მართალია წყვდიადის მოციქულებს, ყვავ-ყორნებს არ სურთ დაიჯერონ და ხშირად „ღლიცინებენ“ ამ თემაზე, მაგრამ ოდესღაც მათ დიდი უბედურება გამოაფხიზლებთ...“ კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა და არა მარტო ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო, ეს არის ახალი ვირუსი, მაგრამ ეს არ არის პირველი შემთხვევა დედამიწაზე, როდესაც ვრცელდება ვირუსი, როდესაც ვრცელდება დაავადება. ყოფილა უფრო მძიმე შემთხვევები, მაგრამ უფალი მეფობს და ყველას კიდევ ერთხელ მინდა გადმოგცეთ პატრიარქის დალოცვა და გითხრათ, ნუ გეშინიათ ამ ვირუსის, კაცობრიობა დაამარცხებს ამ ვირუსს. რა თქმა უნდა, ძნელია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, რომელიც შეიძლება არ არის სათანადოდ მზად ასეთი ბრძოლისათვის, მაგრამ ერთიანი ძალებით კაცობრიობა დაამარცხებს ამ ვირუსს, ისევე როგორც დაამარცხა ბევრი სხვა დაავადება, მაგალითად კეთრი, რომელიც აღარ არის მსოფლიოში, საშინელი დაავადება, რომელიც საშინლად გადამდები იყო და ჯერ კიდევ 60-იან წლებში კეთრის შემთხვევები არსებობდა. კაცობრიობამ გადალახა და კაცობრიობა გადალახავს ამ ვირუსსაც“, ეს განცხადება მეუფე ნიკოლოზს ეკუთვნის. მკვლევარების განმარტებით წინა კორონავირუსების გავრცელების დროსაც, 2003, 2009 და 2012 წლებში ეს ინფექცია გადაეცემოდა არა მხოლოდ რესპირატორული გზით, არამედ ფეკალ-ორალური გზებით. დაბინძურება შესაძლოა მოხდეს ტუალეტშიც. კორონავირუსი არის საკმაოდ გამძლე ვირუსი. ალუმინის ზედაპირზე 21 გრადუსი ტემპერატურის შემთხვევაში 8 საათს ძლებს. რკინის ზედაპირზე – 48 საათი. ქაღალდზე – 4–5 დღე. შუშაზე – 5 დღე. +4 გრადუსიდან მინუს ტემპერატურამდე კი თავის ინფექციურ თვისებებს ეს ვირუსი ინარჩუნებს 28 დღის განმავლობაში. ასე, რომ ვირუსმა შესაძლოა „დაივანოს“ მობილური ტელეფონზეც და შენობაში ავეჯის ზედაპირზეც და საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც. როგორც ცნობილია თბილისის მერის დავალებით, მუნიციპალური ტრანსპორტი სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მიკრობაკფორტე, ლიზოფორმინი, სტერისეპტფორტე მუშავდება. დეზინფიცირება ჩაუტარდა თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებს, სადაც ათამდე დასახელების სადეზინფექციო საშუალება გამოიყენეს. სპეციალური ხსნარებით იწმინდება ყოველდღიურად მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრები და სახელოვნებო სკოლები. ასევე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის განკუთვნილი უფასო სასადილოები სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება. პრევენციის მიზნით დეზინფიცირება ჩატარდა მიწისქვეშა გადასასვლელებშიც. ნუ, ხელებს ჩვენ თვითონ დავიბანთ. ასე, რომ ავად თუ კარგად კორონაც დაგვტოვებს, მაგრამ „მეორე“კორონას არც სისუფთავე შველის და არც დეზინფიცირება. როგორც ჩანს საქრთველოში ეს „ვირუსი“სხვადასხვა სახელით და ერთი და იგივე ზნით ყოველთვის ყვაოდა. „მეორე ხოლერაში“ ვაჟა-ფშაველა გულისხმობდა საქართველოს სხეულში შემძვრალ ყველაზე ვერაგ სენს. რომელიც სავარაუდოდ ოცდამეერთე საუკუნეში „ნაცლიდერებში“განსხეულდნენ.“დროა პირველს თავი დაანებონ და მეორეს მიაპყრონ თვალი, იმ ჩუმად მძრომელს, რომელიც სისხლს არ აჩენს, მაგრამ მკვდრებს კი ამრავლებს.






ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს,
ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილს**
საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ **გიორგი გახარიას**
საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს,
ქალბატონ **ირმა ინაშვილს**
საქართველოს გენერალურ პროკურორს,
ბატონ **ირაკლი შოთაძეს**
საქართველოს სახალხო დამცველს,
ქალბატონ **ნინო ლომჯარიას**
ასლი: მცხეთა-მთიანეთის საფინანსო
პოლიციის გამომძიებელს, ბატონ **თამაზ ნათაძეს**



ბედის ირონიასა და უკუღმართობას დამატებული საშინელი ღალატით მე და ჩემი ოჯახი, ასე ვიტყვი, შუაგულ ჭაობში აღმოვჩნდით, რის გამოც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სვისკაპიტალში“ ორი საცხოვრებელი სახლი იპოთეკით დავტვირთეთ.

ვერ გადავიხადეთ ყოველითვიური სესხის პროცენტი და „სვისკაპიტალმა“ კერძო აღმასრულებლის იროდიონ თოდუას მეშვეობით ჩვენი საცხოვრებელი სახლები აუქციონის წესით გაყიდა.

აუქციონი თაღლითურად ჩატარდა — იროდიონ თოდუამ „სვისკაპიტალის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ფიქტიური აუქციონები ჩაატარა, რის შედეგადაც ჩემი შვილის იოსებ არეშიძის სახლი „სვისკაპიტალის“ თანამშრომელმა თორნიკე ლემონჯავამ შეისყიდა.

სახლი „სვისკაპიტალის“ აუდიტის შეფასებით, 160 000 აშშ დოლარი ღირდა. თორნიკე ლემონჯავამ ის 16 000 დოლარად მიიღო, ანუ 10 კგ შავი ხიზილალის ფასად.

სახლი საბოლოოდ დარჩა „სვისკაპიტალის“ დირექტორის პაატა დაიაურის უახლოესი მეგობრის მეუღლეს ელენე ჯიშკარიანს, რომელმაც ის 25 000 დოლარად იყიდა.

სახლი, სინამდვილეში, გაიყიდა უფრო ძვირად, ხოლო მეორე საცხოვრებელი, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, თვით „სვისკაპიტალის“ ქონებას შეემატა 71000 ლარად, ანუ 71%-ად, რადგან აუდიტის შეფასებით, ის 100000 ლარი იყო.

სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობ, გამოვისყიდე 28000 დოლარად. ამ თანხიდან გადავიხადე 1000 დოლარი და 6000 დოლარის ნაცვლად ორი მიწის ნაკვეთი. დარჩენილი 21000 დოლარი „სვისკაპიტალის“ დირექტორმა პაატა დაიაურმა გადაიხადა. საიდან მოიზიდა ეს თანხა პაატა დაიაურმა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რადგან ჩემი შვილის იოსებ არეშიძის სახლი, სინამდვილეში, გაიყიდა უფრო ძვირად და არა 25 000 დოლარად. მე, მერე, ვითომ „დამეხმარნენ“ და გადმომიგდეს „ძაღლის ლუკმა“.

ასე არ იქნებოდა, აუქციონი წესების დაცვით რომ ჩატარებულიყო.

2017 წლის აპრილში ღია წერილით მივმართე „სვისკაპიტალის“ ხელმძღვანელობას განმარტებებისთვის, ასევე „სვისკლაპიტალის“ ფინანსურ დირექტორს,. ორჯერ გამოვიწვიე სატელევიზიო დებატებში „სვისკაპიტალის“ ხელმძღვანელობა და კერძო აღმასრულებელი იროდიონ თოდუა, თუმცა მათ უარი განაცხადეს ტელედებატებში ჩემთან მონაწილეობაზე.

განცხადებები შეტანილი მაქვს საქართველოს ფინასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, რომლებიც პროკურატურის დავალებით ჩემს საქმეს უკვე მესამე წელია იძიებენ.

ძალიან გაიჭიმა ჩემი საჩივრის განხილვის საქმე. ოჯახი კი გაჭირვებაში და მუდმივ ნერვიულობაში ვცხოვრობთ, რის გამოც ჩემს მეუღლეს ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა.

გთხოვთ ყურადღებით მოეკიდოთ ჩემს საქმეს. ფაქტობრივად, ჩემი და ჩემი ვაჟის, ორი ქართული ოჯახი განადგურების პირას ვართ. ეკონომიურ სიდუხჭირესა და უსამართლობაში ვიმყოფებით.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის პროკურატურას ვთხოვ მცნონ დაზარალებულად ყველა საგამოძიებო საქმეში და საქმე გადაეცეს სასამართლოს.

ჩვენ ვცხოვრობთ ქართულ სახელმწიფოში, ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები და მიგვაჩნია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ კანონიერად უნდა დაგვიცვას. რეალობა კი ასეთია, ყაჩაღებმა და გამომძალველებმა თაღლითური გზით წაგვართვეს სახლ-კარი და ქონება, სამართალი კი იგვიანებს.

სამყაროში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული და ჩემს საქმესაც უნდა ჰქონდეს სამართლიანი ფინალი.

გვჯერა თქვენი თანადგომის.

გულითადად ვთხოვ ჟურნალისტთა კორპუსს, მომაქციეთ ყურადღება, ჩაატარეთ ჟურნალისტური კვლევა, დაგვეხმარეთ სიმართლის პოვნაში.

პატივისცემით, ქ. მცხეთა, მირიანის №4 მცხოვრები

**გურამ არეშიძე**
571 51 12 35

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?**

— მეუღლე და მშობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.

* * *

**— გარდამეცვალა მამა. მივიღე მისი ქონება, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრემ. აღმოჩნდა, რომ მამაჩემს ჰყოლია მოვალე, რომელმაც მომთხოვა მე ვალის გადახდა, ამასთან წარმომიდგინა მათ შორის დადებული სანოტარო წესით დადასტურებული სესხის ხელშეკრულება. მე ამ ვალის შესახებ არაფერი ვიცოდი. რამდენად სამართლიანია ეს? არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?**

— დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484– მუხლის 1– ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

**— ვარ ხანდაზმული მოხუცი. ქმარი და შვილები არ მყავს. მივლის მეზობლის ქალი, რომელიც ოჯახის წევრად მიმაჩნია. ამასთან, მყავს ძმიშვილები, რომლებიც, საერთოდ, არ მაქცევენ ყურადღებას. მსურს, მეზობლის სახელზე გავაფორმო სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება. მაინტერესებს, ძმისშვილებს ხომ არ ექნებათ სამართლებრივი პრეტენზიები? გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.**

— ამგვარი სახის შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. როგორც ჩანს, საკითხი აქტუალურია. ამიტომ მოგაწოდებთ სრულყოფილ ინფორმაციას თქვენვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

თქვენ არ გყავთ 1- რიგის მემკვიდრეები- მეუღლე და შვილები, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა გასჩენოდათ გარკვეული ქონებრივი სახის პრეტენზიები. ყველა სხვა დანარჩენნი განეკუთვნებიან მომდევნო რიგის მემკვიდრეებს. ქონება თქვენია და თქვენ, როგორც მესაკუთრე, თქვენი სურვილისამებრ განსაზღვრავთ მის იურიდიულ ბედს.

— უფრო მეტი სიზუსტისათვის დავძენ, რომ თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე თავით, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვრები: მამა ბასილი (მკალავიშვილი), მამა ვახტანგი (მარგიანი) და მრავალრიცხოვანი მრევლი უსამძიმრებს ლევან ხაჭაპურიძეს მამის**

**შოთა ხაჭაპურიძის**

**გარდაცვალების გამო**
**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს**

# სუპერაგენტი მარიტა ლორენცი

## წარუმატებელი თავდასხმა ფიდელ კასტროზე, შვილი დიქტატორისგან და შეთქმულება ჯონ კენედის წინააღმდეგ

ამ ქალის ცხოვრება სათავგადასავლო რომანს ჰგავდა: მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გაიცნო ფიდელ კასტრო. მამაკაცის მიმართ ნამდვილი გრძნობა ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებით მისი მოკვლა სცადა. ამასთან, კიდევ ერთ დიქტატორთან ჰქონდა ნაცნობობა, რომლისგანაც შვილიც გააჩინა. მარიტა ლორენცმა სპეციალურ კომიტეტს ჩვენება მისცა ჯონ კენედიზე განხორციელებული თავდასხმის გამო. ამაოდ როდი უწოდებდნენ მას ტაბლოიდები XX საუკუნის ჯეინ ბონდს.

მარიტა ლორენცი 1939 წლის 18 აგვისტოს დაიბადა ბრემენში მსახიობისა და მოცეკვავის ალისა ლოფტლანდისა და გერმანული სავაჭრო გემის კაპიტნის ჰენრიხ ლორენცის ოჯახში. ომის შემდეგ გოგონას დედა ამერიკელი სამხედრო ოფიცრის თანაშემწედ მუშაობდა, მოგვიანებით კი პროფესიონალი ჯაშუში გახდა. მარიტა ხშირად მოგზაურობდა მამასთან ერთად იმ სამგზავრო ლაინერით, რომელსაც ჰენრიხ ლორენცი მართავდა.



1959 წლის თებერვალში, როცა გოგონას 20 წელი შეუსრულდა, **"Ms Berlin"**-მა ჰავანაში ჩაუშვა ღუზა, ხომალდის ბორტზე, რომელსაც ჰენრიხ ლორენცი მართავდა, ფიდელ კასტრო ავიდა თანმხლებ პირებთან ერთად. ახალგაზრდა მარიტა თვალს ვერ აშორებდა წარმოსადეგ კუბელებს და მოხიბლული დარჩა მათი ლიდერით.

არც ფიდელ კასტრო აცილებდა თვალს ლამაზ გოგონას, ის კი მამის თანდასწრებით ვერ ბედავდა თავისი სიმპათიის გამოვლენას. მაგრამ, ვიდრე კასტრო გემს დატოვებდა, მარიტამ ასანთის კოლოფზე დაწერა თავისი ძმის, კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტის, ხოაკიმის ტელეფონის ნომერი, რომელთანაც მანჰეტენზე აპირებდა ცხოვრებას.

რამდენიმე დღის შემდეგ მარიტას ფიდელმა დაურეკა და აცნობა, რომ ჰავანაში მის წასაყვანად თვითმფრინავი გაგზავნა. ცოტა ხანში ჰავანის აეროპორტში გოგონას ჯიპი ელოდებოდა, რომელმაც სასტუმრო „ჰილტონში" წაიყვანა, სადაც ფიდელ კასტროს შტაბ-ბინა იყო განლაგებული. მარიტა ბედნიერი იყო და არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ მისი შეყვარებული ცნობილი იყო ლამაზი გოგონებისადმი მრავალრიცხოვანი სასიყვარულო ისტორიებით.

რამდენიმე თვის შემდეგ მარიტა მიხვდა, რომ ფეხმძიმედ იყო და ამ სასიხარულო ამბისთვის — ბავშვის დაბადებისთვის მზადება დაიწყო, მაგრამ ორსულობის მერვე თვეში გოგონამ გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა ბავშვი — დილით ჭიქა რძე დალია, რის შემდეგაც გონება დაკარგა.

გონს ექიმის კაბინეტში მოეგო, ბავშვი კი არასოდეს უნახავს. დღემდე ვერ მოხერხდა მაშინდელი მოვლენების განვითარების აღდგენა. არსებობდა მომხდარის რამდენიმე ვერსია: ორსულობა კომანდანტეს ბრძანებით შეწყდა, მარიტას მუცელი მოეშალა, მან ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა, რომელსაც ანდრე დაარქვეს. ამ ვარაუდებიდან არც ერთი დადასტურებულა და არც უარყოფილი ყოფილა.

მომხდარის შემდეგ მარიტა ლორენცი სასწრაფოდ გაგზავნეს ნიუ-იორკში, რადგან კუბაზე მისთვის კვალიფიცირებული სამედიცინო მომსახურების გაწევა არავის შეეძლო: მას ციებ-ცხელება და მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, იმაზეც ეჭვობდნენ, რომ სისხლის მოწამვლა დაეწყო. მალე ის რუზველტის ჰოსპიტალში იწვა, გარშემო ექიმები ფუსფუსებდნენ, ოთახში კი მუდმივად იყვნენ უცხო ადამიანები. როგორც კი მარიტა გონს მოდიოდა, უცნობები მაშინვე მისთვის უხერხულ შეკითხვებს უსვამდნენ: ვინ იყო, ვინ ნახა და ვინ რას ამბობდა.

გონება, რომელიც უძლიერესი პრეპარატებით ჰქონდა დაბინდული, სადღაც მიცურავდა, ხოლო ის სიტყვები, რომლებსაც ცენტრალური სადაზვერვო საამმართველოს წარმომადგენლები წარმოსთქვამდნენ, წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. აგენტები მას არწმუნებდნენ, რომ ფიდელმა მისი ბავშვის მოკვლა ბრძანა, ეუბნებოდნენ რომ ის საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკისა და მთელი მსოფლიოსთვის. ყველაფრის მიუხედავად, მან ერთი რამ ჩაიბეჭდა გონებაში: მის ყველა უბედურებაში დამნაშავე ფიდელია და ახლა მან ის უნდა მოკლას.

მოგვიანებით მარიტამ აღიარა, რომ ის ფრენკ ფიორინი სტერჯისმა გადაიბირა სპეციალურად ფიდელ კასტროს მკვლელობისთვის. მან სპეციალური მომზადება გაირა დახურულ ბანაკში, სადაც ისწავლა სროლა, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და სრულიად უსაფრთხო ნივთების მკვლელობისთვის გამოყენება. მოგვიანებით მან მიიღო ორი კაპსულა შხამის შიგთავსით, რომელიც კომანდანტესთვის საკვებში ან სასმელში უნდა შეერია.

1960 წელს ის კვლავ ჩავიდა კუბაზე, ფიდელ კასტროს ზიანი ვერ მიაყენა, რადგან ისევ უყვარდა. მაგრამ მარიტამ აღიარა, რისთვისაც დაბრუნდა თავისუფლების კუნძულზე. ქალმა დატოვა კუნძული და 1981 წელს კიდევ ერთხელ დაბრუნდა იქ, სადაც უკანასკნელად შეხვდა ფიდელს.




### მარკოს პერეს ხიმენესი

1961 წლის მარტში მარიტა ლორენცმა ვენესუელის ყოფილი დიქტატორი მარკოს პერეს ხიმენესი გაიცნო. ისინი იმ დროს შეხვდნენ ერთმანეთს, როცა გოგონა საერთაშორისო ანტიკომუნისტურ ბრიგადაში კურიერად მუშაობდა და ხიმენესისგან საწევრო თანხა — 200 ათასი დოლარი უნდა მიეღო.

ყოფილი დიქტატორი ექვსი კვირის განმავლობაში ცდილობდა მარიტას გულის მოგებას და, როგორც იქნა, მოახერხა მისი კეთილგანწყობის მოპოვება. ამ კავშირის შედეგად ლორენცს გოგონა ეყოლა, თუმცა მალე მისი მეუღლის ექსტრადირება მოხდა ვენესუელაში, რათა მისი მმართველობის დროს გაფლანგული 200 მილიონი დოლარის გამო პასუხისგებაში მიეცათ.

მარიტა ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე გაემგზავრა მეუღლის სამშობლოში. ამ ქვეყანაში მას ხელგაშლილი არავინ დახვედრია — ის ბავშვთან ერთად რომელიღაც ადგილობრივ ტომში წაიყვანეს, სადაც გარკვეული დროის მანძილზე ბავშვთან ერთად ცხოვრობდა, მერე კი ამერიკაში გადასვლა მოახერხა.

### ჯონ კენედის მკვლელობა

1977 წელს მარიტა ლორენცმა სენსაციური განცხადება გააკეთა აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის მკვლელობაში სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ. მარიტამ უამბო **„The New York Daily News"**-ის ჟურნალისტს პოლ მეკსილს იმის შესახებ, რომ მან ჯონ კენედის მკვლელი ლი ოსვალდი 1960-იანი წლების დასაწყისში დახურულ ბანაკში გაიცნო, მოგვიანებით კი კიდევ ორჯერ შეხვდა მას — მაიამიში კონსპირაციულ ბინაში და ტრაგიკულ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ორლანდო ბოსკას სახლში, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის ფრენკ სტერჯისა და სამი კუბელი მამაკაცის თანდასწრები თ. ლორენცის ვარაუდით, ის მამაკაცები იარაღის საწყობის გაძარცვას გეგმავდნენ.

მოგვიანებით მარიტა ლორენცმა გაიმეორა ჩვენება წარმომადგენელთა პალატასთან არსებულ მკვლელობათა სპეციალური კომიტეტის მოსმენაზე, მაგრამ მისი ჩვენება არასაიმედოდ იქნა ცნობილი. ფრენკ სტერჯისმა კატეგორიულად უარყო კენედის მკვლელობის შეთქმულებაში მისი მონაწილეობა და ამტკიცებდა, რომ მარიტა ლორენცი კომუნისტებმა მოისყიდეს მისი სახელის შებღალვის მიზნით. დალასში გამგზავრების შესახებ ქალის მიერ მოთხრობილმა დეტალებმაც კი, რომელშიც თითქოსდა ის მონაწილეობას იღებდა, ვერ დააჯერეს კომიტეტის წევრები მის სიმართლეში.




### უბრალო აგენტის უბრალო ცხოვრება

1970 წელს ორი დიქტატორის ყოფილი საყვარელი ცოლად გაჰყვა ნიუ-იორკის მრავალბინიანი სახლის მმართველს და ქმართან ერთად გამოძიების ფედერალური ბიუროს სასარგებლოდ მუშაობდა. ისინი უთვალთვალებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც მარიტას ქმრის სახლში ცხოვრობდნენ.

დროდადრო ქალი ინტერვიუებს იძლეოდა, რაშიც მაღალ ჰონორარს იღებდა, მოგვიანებით მის შესახებ ფილმების გადაღება დაიწყეს, მარიტა ლორენცმა კი წიგნი გამოსცა სათაურით „მარიტა ლორენცი: ჯაშუში, რომელსაც კასტრო უყვარდა... და ლამის მოკლა".

2019 წლის 31 აგვისტოს 80 წლის ასაკში მარიტა ლორენცი ობერჰაუზენში, გერმანიაში გარდაიცვალა და თან წაიღო ყველა საიდუმლო და, შესაძლოა, უხერხული სიმართლეც აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ.

ფიდელ კასტროს რევოლუციური და პოლიტიკური მიღწევების შესახებ ბევრი დაწერილა, პირადი ცხოვრების შესახებ კი კუბის ლიდერი დუმილს ამჯობინებდა. იმ დროს მისი სასიყვარულო ისტორიების შესახებ ლეგენდები დადიოდა, ამბობდნენ, რომ მას 35 ათასზე მეტი ქალი ჰყავდა...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001